h43.

ჩომოლას

აპრილი

№ 4

1929

კაპიტალისტურ ქვეყნებში

პოლონეთი

გრომადის საქმის ხელახლა გადასინჯვა.

მიმდინარე წლის თებერვლის 28, ვილნოს სააპელაციო სასამართლოში დაიწყო ბელორუსეთის გრომადის საქმის ხელახალი გადასინჯვა. ცხრა თვის უკან ამავე სასამართ-



ხალიჩების საქსოვ ფაბრიკასთან პოლიციის ავტომობილი, ქ. გალში (გერმანია), იცავენ მომუშავე შტრეიკბეჰერებს.

ლომ — 1928 წ. 22 მაისს, ვილნოში განაჩენი გამოუტანა გრომადას. 56 ბრალდებულთაგან მხოლოდ 19 კაცი იქნა განთავისუფლებული, დანარჩენებს კი მიესაჯა სხვა და სხვა ვადით 12 წლამდე დაპატიმრება, რომლის მთლიანი რაოდენობა უდრის 209 წ. გასამართლებულმა გრომადელებმა გაასაჩივრეს განაჩენი. მათვე მიემხრო პროკურორიც, რომელმაც გაასაჩივრა განაჩენი ხუთი ამხანაგის შესახებ. ამრიგად ვილნოს სააპელაციო სასამართლოს წინაშე უნდა წამდგარიყო 42 კაცი. მაგრამ 9 თვის განმავლობაში პოლონეთის ფაშისტებმა შესძლეს გრომადელებში განხეთქილების ჩამოგდება და მათ „მუშაობას" შედეგად მოჰყვა ის, რომ ბრალდებულთაგან ორი კაცი — ოსტროვსკი და ლუცკევიჩი უკვე გადავიდენ პოლონეთის ხალხის დამორჩილებულთა მხარეზე. სააპელაციო სასამართლომ რატომღაც საჭიროდ „ველარ სცნო" სხდომებზე დასასწრებლად გამოეწვია ბრალდებულები, ყველა ისინი წინასწარ დაანაწილეს სხვა და სხვა საპყრობილეებში, სასამართლოს დარბაზში, ხალხში კი მხოლოდ ორი გაიძვერა გამცემი იჯდა.

პროკურორის სიტყვა გაგრძელდა მთელი 2 დღის განმავლობაში. თუ კი პირველ ინსტანციაში პროკურორი უარყოფდა ბევრ საბრალმდებლო მუხლებს, ეხლა კი ის არ უარყოფდა არც ერთ იმათგანს და ამტკიცებდა, რომ გრომადის მთელი შემადგენლობა იყო არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეთქმულთა ორგანიზაცია.

ესტონეთი

რევოლიუციონერი ქალის სიკვდილი.

თებერვლის 28 რეველის საპყრობილეში გარდაიცვალა ცნობილი ესტონელი რევოლიუციონერი ქალი ვილგელმინა კლემენტი, რომელიც შეიპყრეს 1922 წლის მაისში ესტონეთის კომპარტიის ბელადის ეიქტორ კონგისეპას საქმესთან დაკავშირებით. ამხ. კლემენტის დაკრძალვის დღეს მუშებმა მოაწყვეს უდიდესი დემონსტრაცია.

პალესტინა

საავადმყოფოს ნარზე ბორკილებით.

გაუგონრი სიმკაცრით ეპყრობიან პალესტინის საპატიმრო აიკოში, გოლდრაიხს, რომელსაც კომპარტიის წევრობისათვის მისჯილი ჰქონდა გადასახლება.

გადაგზავნის წინა დღეს გოლდრაიხი ავად გახდა და მოათავსეს საპატიმროს საავადმყოფოში, მაგრამ მისი წამება-დამცირება ამით არ დასრულებულა. ცოტაოდენი მომჯობინების შემდეგ გოლდრახი ისევ საპატიმროსკენ გაისტუმრეს ორი კვირის ვადით, იმიტომ, რომ მან სასტიკი პროტესტი განაცხადა მისდამი არაადამიანურად მოპყრობისათვის.

ლატვია

მასიური დაპატიმრებანი.

უკანასკნელ დღეებში რიგაში ისევ განახლდა მასიური ჩხრეკა და დაპატიმრებები. დაპატიმრებულთა შორის არიან ადგილობრივ მუშათა და გლეხთა გაზეთის მუშაკები — პრედენიკი და დუცმანი.

გაფიცვების შემდეგ. მიტოვებული ქარხანა (საფრანგეთი).

363(~)(05)
649.

წელიწადი მეექვსე

№ 4

1929

რემედი

რემედასის საქართველოს ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. №5, II-რე სართ.

∞ ტელ. 17-42. ∞

პირველი მაისი და რემედასი

საერთაშორისო რევოლიუციონური მუშათა კლასი პირველ მაისს ახდენს თავის ცოცხალ ძალთა დათვალიერებას, რომელიც შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს კაპიტალისტური წყობილებისა და მისი ერთგული დამცველის ფაშიზმისა და თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

რემედასი, როგორც საერთაშორისო რევოლიუციონური მუშათა კლასის ერთსულოვნების გამომხატველი ორგანიზაცია ამ დღესასწაულის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს და ის ამავე დროს ხელს უწყობს რევოლიუციონურ პროლეტარიატის გამოსვლებს მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც მუშათა მრავალმილიონიანი მასები მოითხოვენ ფაშიზმის და თეთრი ტერორის აღმოფხვრას და პოლიტ-პატიმართა სრულ ამნისტიას.

რამდენად ძლიერია მუშათა კლასის შეტევა კაპიტალისტურ წყობილებისადმი, იმდენად ერთი-ორად აძლიერებს ბურჟუაზია თავის შეიარაღებულ ძალებს მებრძოლ პროლეტარიატის წინააღმდეგ. დღეს ყველა ქვეყნებში ფაშისტები განუკითხავად თავს ესხმიან განმანთავისუფლებელ მოძრაობის ხელმძღვანელ მუშებს, მიუხედავათ იმ უდიდესი სამზადისისა რომელსაც აწარმოებენ ფაშისტური ნაძირალები მუშათა კლასის გამანთავისუფლებელი მოძრაობის ჩასაქრობად, ეს უკანასკნელი დღითი დღე იზრდება. მასში დღითი-დღე ებმება მთელი ქვეყნის რევოლიუციონური პროლეტარიატი.

საერთაშორისო მებრძოლ მუშათა კლასის და გლეხკაცობის რევოლიუციონურ მოძრაობაში რემედასს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს არის ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელიც უდიდეს დახმარებას უწევს საპატიმროებში მოქცეულ რევოლიუციონერებს და მათი უპატრონოდ მიტოვებულ ოჯახის წევრებს.

მთელი ქვეყნის მებრძოლი პროლეტარიატის და გლეხობის ერთსულოვნობის ნიადაგზეა აშენებული რემედასის ორგანიზაცია. ის აკავშირებს ყველა ქვეყნის დაჩაგრულებსა და ტვირთმძიმეებს საერთო კლასობრივი მტრის წინააღმდეგ.

რემედასის ორგანიზაციებით მოფენილია მთელი ქვეყნის ყველა მივარდნილი კუთხეები. ის უდიდეს დახმარებას უწევს თავისუფლებისათვის მებრძოლ რვოლიუციონურ მუშათა კლასს.

პირველ მაისის დღესასწაულის ჩატარების დროს ჩვენ ერთი-ორად უნდა გავაძლიეროდ რევოლიუციისათვის მებრძოლათა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის რიგები, გამოვნახოთ ახალი ღონისძიებები დახმარების აღმოსაჩენად. ამ დღეს ჩვენ ერთსულოვნად დარაზმულნი უნდა გამოვიდეთ კაპიტალისტური ქვეყნების მიერ, სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მიმართ წარმოებულ ომის სამზადისის წინააღმდეგ.

პოლიტ-პატიმართა ამნისტიის, მშრომელთა საერთაშორისო ერთსულოვნების გამომსახველი და ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართულმა ლოზუნგებმა ძლიერი გამოძახილი უნდა ჰპოვონ საპირველმაისო დამონსტრაციის რიგებში.

პირველ მაისის დღესასწაულის დღეს ჩვენი ქვეყნის რემედასელები მშრომელთა მილიონიან მასებთან ერთად ზეიმის დროს წამოაყენებენ საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შრომის ნაყოფიერების გადიდების, წარმოების რაციონალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, მის დონის აწევის და იმ ფოლადისებურ კომუნისტური პარტიის ირგვლივ მუშათა კლასის დარაზმვის ლოზუნგებს, რომელთაც მტკიცედ და შეურყევლად მიჰყავს ქვეყანა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

მთელი ქვეყნის მშრომელთა ინტერნაციონალური ერთსულოვნება თავის გამოხატულებას ჰპოულობს რემედასის ყოველდღიურ საქმიანობაში. პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარების დროს გაასკეცებული უნდა იქნეს ეს მუშაობა.

დღეს, პირველ მაისს, ჩვენ გამარჯვებულნი ქვეყნის საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირის რევოლიუციონური მუშათა კლასი და გლეხობა მჭიდროთ დარაზმულნი გამოვდივართ და ვამხნევებთ კაპიტალის ციხე სიმაგრეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრებს.

პირველი მაისი საერთაშორისო მუშათა კლასის ერთსულოვნების გამომსახველი დღეა.

რემედასის ორგანიზაციებმა ამ დღესასწაულის ჩატარების დროს უნდა გააძლიერონ მშრომელთა ინტერნაციონალურად აღზრდა.

საერთაშორისო იერიში ფაშიზმს

ორნახევარ წლის წინად ჩემი, რომენ როლანისა და მთელი რიგი ჩვენი ამხანაგების მონაწილეობით დაარსდა ანტი ფაშისტური საერთაშორისო კომიტეტი, რომელსაც მიემხრო მემარცხენე პარტიების მრავალი თვალსაჩინო მოღვაწეები და აგრეთვე დასავლეთ-ევროპის მეცნიერების, ხელოვნების და საერთოდ

წითელგვარდიელის დაპატიმრება

ლიტერატურის წარმომადგენლები. დაარსების პირველ დღიდანვე ეს კომიტეტი შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური ბარბაროსობის, მკვლელობათა და საერთოდ მის მიერ ჩადენილ ყველა საზიზღარ მოქმედებათა წინააღმდეგ. ჩვენი ორგანიზაციის გავლენა თვალსაჩინოდ გაიზარდა არა მარტო ევროპიულ სახელმწიფოებში, არამედ ოკეანის გადაღმა ქვეყნებშიაც კი. მისი გავლენა იჭრება ყველგან და ჩვენი იდეის გარშემო რაზმავს ისეთ ადამიანებს, რომლებიც პირნათლად ემსახურებიან კაცობრიობის სიმართლეს და მის წმინდა გრძნობას.

ამ ორნახევარი წლის განმავლობაში ფაშიზმმა მეტის მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. მთავრობის აშკარა ფაშისტური ტერორი დამკვიდრდა მთელ რიგ ახალ ქვეყნებში და უკანასკნელ ხანებში ის დახრჩობას უპირობს იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის, ლატვიის, პოლონეთის, ბალკანეთის ქვეყნების, ვენეცუელის და ჩილის ერებს. ამასთანავე ერთად ძლიერდება ნახევრად ლეგალური ფაშიზმი, რომელიც „დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ" ქვეყნებში მოქმედობს ისე მოხერხებით, თითქოს მას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს სახელმწიფო აპარატთან; ასეთ „დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ" ქვეყნებთა რიცხვს ეკუთვნის მაგალითად: შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, სკანდინავიის ქვეყნები და ასე გაშინჯეთ თვით შვეიცარიაც კი.

ამ ფაშისტური წყლულის გავრცელება წარმოადგენს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოების ლოღიკურ გამოსავალს.

ბურჟუაზიული კონტრრევოლიუცია, პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართული კაპიტალიზმის რეაქცია, გაბატონებულ კლასების ცდა, რათა მასები დააბრუნონ „წ ე ს რ ი გ ი ს" ფარგლებისაკენ — აი, ფაშიზმის სათავე და მიზეზი მისი თანდათანობითი განვითარებისა. ფაშიზმი წარმოადგენს რა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილების დამცველ ოფიციალურ ძალის შეიარაღებულ დამატებას, ის ამავე დროს მსხვილ ბურჟუაზიას ხელს უწყობს, რათა იერიში მიიტანოს მუშათა კლასზე.

გარეშე ქვეყნების მიმართ კი, ფაშიზმი რომელიც სცდილობს და მიისწრაფის თავის ბატონობის ასპარეზის გაფართოებისაკენ, წარმოადგენს მუდმივ საფრთხეს მოსაზღვრე სახელმწიფოებისა და მათ შორის მშვიდობიანობისათვის ევროპაში. ამით სარგებლობს იმპერიალისტური ბურჟუაზია, რათა გამხეცებული ტერორის გაჩაღებით თავიდან აიცდინოს მასების წინააღმდეგობა ახალი ომის სამზადისისა და ს.ს.რ.კ. თავდასხმის მოწყობის დროს.

საჭიროა თუ არა ჩივილი, ყვირილი ჭრილობათა გამომჟღავნება, მსხვერპლთა ჩამოთვლა, ან სასაფლაოების სიის შედგენა? დიახ, საჭიროა! ეს ამავე დროს აუცილებელიცაა! მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არა მარტო ჩივილით, რაც უნდა შემაძრწუნებელი არ იყოს ის, შესაძლებელია ბურჟუაზიის მიერ გამოგონებული გამანადგურებელი მანქანის მოძრაობის შეჩერება, რომელიც მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ იმ მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომელიც სცდილობს კაცობრიობის გარდაქმნას ახალ ნიადაგზე.

საჭიროა უდიდესი ენერგიის გამოჩენა, ფაშიზმის წინააღმდეგ დარაზმული ყველა ძალების შეკრება ძლიერი და შეურიგებელი ბრძოლების დასაწყებად. ამ კონტრრევოლიუციის აღვირახსნილ ავანგარდის საწინააღმდეგოდ. საჭიროა ორგანიზაცია საერთაშორისო მასშტაბით საქმიანი მუშაობის დასაყენებლად. საჭიროა ყველა იმ საშუალებათა შესწავლა, რომელთა გამოყენება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იმისათვის, რომ გამხეცებული ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ ავმართოთ უძლიერესი ზღუდე. ამ უდიდეს ამოცანას თავისი ძალებით ვერ აასრულებს ჩვენი კომიტეტი, მიუხედავათ იმ გავლენისა, რომელიც მან მოიპოვა დღემდის მშრომელ მასებში და იმ ენტუზიაზმისა, რომელიც ახასიათებს ყველა მის მონაწილეებს. ამ ბრძოლაში აქტიურად ჩაბმულნი უნდა იყვნენ მშრომელი მასები; მის რიგებში დარაზმულნი უნდა იქნენ ფიზიკური და გონებრივი მუშაკების მილიონები, ამათმა უნდა შექმნან ძლიერი საერთაშორისო ანტი-ფაშისტური ფრონტი.

ასეთია ის სახელმძღვანელო იდეა, რომელიც საფუძვლად დაედვა იმ ანტი-ფაშისტურ კონგრესს, რომელიც

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ მიმდინარე წლის 9-10 მარტს, ქ. ბერლინში. ამ კონგრესის მოწვევის, მისი დანიშნულების და აუცილებლობის შესახებ ჩვენ უკვე ვაცნობეთ მთელი ქვეყნის მშრომელებს, რომლის საპასუხოდ დედამიწის ყველა კუთხიდან ჩვენ მივიღეთ მხურვალე და თანაგრძნობითი გამოძახილი.

მიღებული ცნობების თანახმად ყველა ქვეყნებში ეწყობოდა მრავალრიცხოვანი მიტინგები და დემონსტრაციება, სადაც ძლიერად გუგუნებდა ფოლადისებრ შეერთებული მასების ერთსულოვანი ხმა. ყველგან გაისმოდა მშრომელთა პროტესტები ფაშიზმის წინააღმდეგ. ყველგან გაისმოდა შეუდრეკელი მოწოდება იმის შესახებ, რომ საერთაშორისო მუშათა კლასი მზად არის ეკვეთოს თავის კლასობრივ მტერს, რათა საბოლოოდ სძლიოს და გაანადგუროს ფაშიზმი და თეთრი ტერორი.

საერთაშორისო მუშათა კლასის თბილი თანგრძნობა ჩვენი კონგრესისადმი მაჩვენებელია იმისა, რომ ეს უკანასკნელი პირნათლად შესძლებს დაკისრებულ ამოცანების შესრულებას. ეჭვს გარეშეა, ის შესძლებს უჩვენოს მასებს ბრძოლის სწორი გზა და საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს მისი საარსებო ინტერესების განხორციელებას.

ჰანრი ბარბიუს.

პროლეტარული დიქტატურა უნგრეთში 10 წლის წინად

რუსეთის ოქტომბერმა საძირკველი ჩაუყარა საერთაშორისო რევოლიუციის დასაწყისს. რევოლიუციონური განწყობილება შუა-ევროპის ქვეყნებში დაიწყო ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს, სადაც აქა-იქ ადგილი ჰქონდა უეცარ რევოლიუციონურ აფეთქებებს, გაფიცვებს, ზოგან კიდევ ყალიბდებოდა მუშათა საბჭოები.

ომის დასასრულმა კი ძირ-ფესვიანად შეარყია ფეოდალიზმის ნარჩენებით დამძიმებული, დამყაყებული კაპიტალისტური ქვეყნის მთელი შესაძლებლობანი, მაგრამ მშიერ-მწყურვალთა რევოლიუცია მიმდინარეობდა სტიქიურად, არა რევოლიუციონურ ორგანიზაციული ძლიერებით, რომელსაც უნდა შეექმნა მჭიდრო შეკავშირებული რევოლიუციონური პროლეტარიატის პარტია. მასების უმრავლესობა უმთავრესად მოღალატე და გამცემელი ბელადების ხელში იყვნენ, ეს უკანასკნელნი კი მზად იყვნენ ერთგული სამსახური გაეწიათ ბურჟუაზიისათვის.

უნგრეთში მასების რევოლიუციონური ბრძოლის საშუალებით შესაძლებელი გახდა 1919 წ. მარტის 22-ს გამოცხადებულიყო პროლეტარული ხელისუფლება. ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ უნგრეთში არსებობდა ახალგაზრდა კომუნისტური პარტია, რომელმაც ულმობელი და შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა სოციალ-დემოკრატიის, მოღალატე ბელადებს, მან ჩინებულად შესძლო ხელმძღვანელობა გაეწია რევოლიუციონური პროლეტარიატისათვის.

უნგრეთის კომუნისტურმა პარტიამ, მიუხედავათ მთავრობის მიერ წარმოებული დევნისა, მოახერხა ეხელმძღვანელებია რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის მაგალითებით. მას არ გამოპარვია არც ერთი შემთხვევა, რომელიც ხელს შეუწყობდა პროლეტარული და საბჭოთა ხელისუფლების იდეის გავრცელებას მშრომელ მასებში, რათა ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლიუცია გადაექცია პროლეტარულ რევოლიუციათ. როცა უკვე გაკოტრებულმა ბურჟუაზ.-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ, რომელიც ელაქუცებოდა იმპერიალისტებსა და საერთაშორსო კონტრევოლიუციას, გამოამჟღავნა თავისი უსუსურობა შინაურ და გარეშე პოლიტიკის საქმეში, სოციალ-დემოკრატებმა იმის შიშით, რომ ხელიდან არ გაეშვათ, ჯერ კიდევ მათი გავლენის ქვეშ მყოფი მასები მიმართეს კომუნისტებს წინადადებით, რათა შეექმნათ შეერთებული მთავრობა.

იმ მომენტში კომუნისტებს მხოლოდ ორი გზა ჰქონდათ: ან არ უნდა აეღოთ ხელში ძალაუფლება, ან თანხმობა უნდა გამოეცხადებიათ სოციალ-დემოკრატების წინადადებაზე.

ბერძენი კომუნისტები საპყრობილეში

უნგრეთის კომპარტიამ აირჩია მეორე გზა, მაგრამ ამაში მან დაუშვა უდიდესი შეცდომა. უნგრეთელ კომუნისტებს მაშინ კარგად არ ჰქონდათ გათვალისწინებული, რომ სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობა შეუძლებელი იყო მათთან სრულიად გაერთიანების გარეშე, უნგრეთის მუშათა მოძრაობის საბედისწერო ტრაგედია, გამოიხატა იმაში, რომ მან გააერთიანა ეს მოძრაობა პარტიასთან, რომელიც აუტანელი და მძიმე შეიქნა უნგრეთის მუშათა მოძრაობისათვის.

უნგრეთის პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხელთ აიღო ძალაუფლება, გამოაცხადა საბჭოთა რესპუბლიკა, მოსპო კერძო მესაკუთრეობა სამრეწველო იარაღებზე, დაამხო ექსპლოატატორთა ბატონობა და შეუდგა სოციალიზმის შენებას. კომუნისტე-

ბი ყველგან მოწინავე რიგებში იბრძოდნენ, რათა ღირსეულად დაეცვათ მოპოებული ხელისუფლება, მაგრამ სულ ჩქარა მათ მოუხდათ ამ ხელისუფლების შესანარჩუნებლად სასტიკი ბრძოლის წარმოება ანტანტის იმპერიალისტების ინტერვეციისა და მათი ვასალების წინააღმდეგ. ბესარაბიაში თავმოყრილი ჯარებით. აღმოსავლეთის მხრიდან შემოიჭრენ რუმინელი ბოიარები, რომლებიც ლამობდენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებას, ამავე დროს ჩეხოსლოვაკიელი ჯარები უტევდენ სამხრეთით, ხოლო ჩრდილო-სამხრეთით კი სამხრეთ-სლავიისა და საფრანგეთის ჯარები.

მიმდინარე წლის თებერვლის 11 შესრულდა, 1871 წ. პარიზის კომუნისათვის თავგანწირული მებრძოლი ქალის—ლ უ ი ზ ა მიშელის გარდაცვალების წლის თავი. ამ დღის აღსანიშნავ დ პარიზის პროლეტარიატმა უდიდესი დემონსტრაცია მოაწყო. სურათზე—მიშელის სასაფლაოზე სიტყვას ამბობს ამხ. ს ე მ ა რ ი.

1919 წ. მაისის 2 კომუნისტები მოუწოდებდენ უნგრეთის ყველა მშრომელთ, რათა მიუხედავათ სოციალ-დემოკრატების მოთხოვნისა კაპიტულიაცია გამოეცხადებიათ. რამდენიმე დღის განმავლობაში მუშების რევოლიუციონური ენერგია საკვირველ საქმეებს აკეთებდა. ისინი ებრძოდენ მტერს გმირულად და ერთსულოვნათ. ერთი მეორეზე ეწყობოდა და ყალიბდებოდა მუშათა ბათალიონები. ძველი პოლკები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდენ მხოლოდ გლეხები დაიშალა და ამრიგად შესდგა სრულიად ახალი, უნგრეთის წითელი არმია.

ახლად ჩამოყალიბებულმა წითელმა არმიამ არა მარტო მოიგერია იმპერიალისტების თავდასხმები და შემდეგ თვითონ გადავიდა შეტევაზე, რომელიც თითქმის მთელი თვის განმავლობაში არღვევდა ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ჯარების კავშირს. არამედ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა გაცილებით უფრო მეტი რაოდეობის, ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიაზე. წითელმა ჯარმა დაიპყრო სლოვაკიის უდიდესი ნაწილი და მუშებსა და გლეხებთან ერთად გამოაცხადა იქ საბჭოთა ხელისუფლება. უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკამ თავისი რევოლიუციონური ბრძოლა დაუკავშირა ხალხის ეროვნულ თვითგამორკვევისათვის ბრძოლას.

სოციალ-დემოკრატიის ბელადებმა თავიანთი დეზორგანიზაციული მუშაობა დაიწყეს ჯერ კიდევ ამ ბრძოლის წარმოების დროს. სასურსათო მარაგის მოგვარების სიძნელეთა გამოყენებით მათ საშინელი ანტაგონიზმი შეიტანეს რევოლიუციონურად განწყობილ მუშებში. სოციალისტების კონტრევოლიუციონური ყალთაბანდების წყალობით კომუნისტები იძულებულნი შეიქნენ მიეღოთ კლემანსოს წინადადება დროებით შერიგების შესახებ. ამავე დროს მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ მოლაპარაკებაში და უნდა ებრძანებიათ წითელი ჯარებისათვის დაეხიათ დემარკაციული ხაზის იქით, ამავე დროს ანტანტა პირობას იძლეოდა გაენთავისუფლებია რუმინელების მიერ დაკავებული ადგილები.

ამ დროს სოციალ-დემოკრატებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედება. მათ ჩუმი მოლაპარიკების წარმოება დაიწყეს ანტანტის წარმომადგენლებთან და ბურჟუაზიასთან შეთანხმებით მოაწყვეს კონტრევოლიუციონური გამოსვლები „ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს“ ლოზუნგის ქვეშ. ეს აჯანყება ჩაქრობილ იქნა კომუნისტების ენერგიული და თავდადებული ბრძოლის საშუალებით.

აქ გამომჟღავნდა უნგრეთელი კომუნისტების მიერ დაშვებული მეორე უდიდესი შეცდომა. მათ ველარ შესძლეს თავიანთ მხარეზე დაერაზმათ გლეხთა დიდი უმრავლესობა, იმიტომ, რომ მიუხედავად მთელი რიგი შეღავათის მიცემისა, უმთავრესად ფეოდალური მამულების დანაწილება ვერ იყო სასურველად ჩატარებული.

კომუნისტებმა მემამულეთა უდიდესი საშუალებისაგან მაშინვე შექმნეს საბჭოთა მეურნეობები, იმ მიზნით, რათა გაცილებით უფრო უკეთ მოეწესრიგებიათ ქალაქის მცხოვრებთა და წითელ ჯარების კვების საქმე. ამ უდიდესმა პოლიტიკურმა შეცდომამ მუშები და გლეხები ერთიმეორესაგან განაცალკევეს, რამაც საშუალება მისცა კონტრევოლიუციას თავისი მიზნებისათვის გამოეყენებია გლეხთა მასები.

უნგრეთის პროლეტარული დიქტატურა, რომელსაც შიგნიდან ძირი გამოუთხარეს სოციალ-დემოკრატებმა დაამარცხა ინტერნაციონალურმა კონტრევოლიუციონურმა მილიტარისტებმა. ის ყოველგვარ ღონისძიებებს მიმართავდა, რათა დაეცვა გაემაგრებია პროლეტარული დიქტატურა მანამდის, სანამ მას დასახმარებლად მოუსწრებდა საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატი. მაგრამ, ოპორტიუნისტ-გამცემლების წყალობით ჩაიშალა გაფიცვები და ის პროტესტები, რომლებიც უნდა მოეწყო დასავლეთის პროლეტარიატს საბჭოთა უნგრეთის დასაცავად. ჩაშლილი იქნა სწორედ იმ ხანებში, როცა იმპერიალისტების ბრძანების თანახმად რუმინელმა ბოიარებმა დაიწყეს საბჭოთა უნგრეთის წინააღმდეგ გამანადგურებელი ომის წარმოება. უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის უკანასკნელმა გმირულმა ცდამ, რათა დაეძლია ეს შემოტევა — არევ-დარევა შეიტანა მტრის ბანაკში. წითელი ჯარი გამარჯვებით გადავიდა მდინარე ტისსზე მაგრამ სოციალ-დემოკრატების არალეგალურმა მუშაობამ

საშუალება მისცა კონტრევოლიუციონურ ოფიცრებს შეთანხმებოდენ რუმინელებს, მათ შესძლეს პირდაპირი გზით მიმავალი ჯარისათვის გზა აეკვიათ, გაეშვათ ისინი ყალბი მიმართულებით, ამით ჯარის ნაწილებში მათ შეიტანეს დეზორგანიზაცია, რამაც ბოლოს და ბოლოს რუმინელ ბოიარებს მიანიჭა გამარჯვება.

ანტანტის დახმარებით განმტკიცებული კონტრევოლიუცია სასტიკად გაუმასპინძლდა უნგრეთის მუშებს, მაგრამ მიუხედავათ დიდი სიძნელეებისა, როცა უნგრეთის მუშათა კლასი მოემწყვდა თეთრი ტერორის რკალში, თავისი გმირული და თავგანწირული ბრძოლით — საერთაშორისო რევოლიუციისათვის მან გადასწყვიტა ორი უდიდესი ამოცანა.

უწინარეს ყოვლისა უნგრეთის პროლეტარიატის ხელისუფლებამ თავისი ბრძოლით საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის სადარაჯოზე შუა ევროპაში ბრწყინვალედ დაიცვა რუსი ძმები; მან ნაცარტუტად აქცია რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ინტერვენციის საზიზღარი გეგმები, ის თვითონ გაუმკლავდა საბჭოთა კავშირისადმი მიმართულ თავდასხმების ერთ ნაწილს, ამით მან გამოაფხიზლა შუა ევროპის პროლეტარული მასები, რამაც ერთგვარი არევ-დარევაც კი შეიტანა იმპერიალისტების ბანაკში.

მეორეს მხრით კი საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატს მან მისცა არა მარტო საუკეთესო მაგალითი თუ როგორ უნდა იქნეს კომპარტიის მიერ გამოყენებული ესა თუ ის შექმნილი მდგომარეობა, არამედ მან მისცა საუკეთესო გაკვეთილი მთელი ქვეყნის კომუნისტებს, რომლითაც ადვილი დასანახავია სოციალ-დემოკრატიის კონტრევოლიუციონური როლის გამოცნობა. ეს გაკვეთილი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საჭიროა მჭიდრო კავშირის შექმნა მუშებსა და გლეხებს შორის.

მეურაბპომის მიერ აღმოჩენილი დახმარება ლოკაუტგამოცხადებულ საქსონიელ მუშებისადმი. სურსათ-სანოვაგის განაწილება.

ბელა კუნი.

კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულება მექსიკაში

მექსიკაზე უცხო კაპიტალის, განსაკუთრებით კი ჩრდილო-ამერიკის კაპიტალის, ბატონობის წინააღმდეგ, რომლის განკარგულებაშიაც არის სამრეწველო ცენტრების დიდი უმრავლესობა, ბანკები, რკინის გზები და სხვ. მექსიკის მუშებსა და გლეხებს თავიანთი განმანთავისუფლებელი ბრძოლების წარმოება უხდებათ მეტად ძნიშნელ და აუტანელ პირობებში.

1910 წელს მექსიკაში ბატონობდა მემამულეთა და უცხოელი კაპიტალისტების ბლოკი. მაშინ არ იყო მექსიკის ნაციონალური ბურჟუაზია. გლეხებს არ გააჩნდათ მიწა და ისინი ნახევრად ბატონყმურ პირობებში იყვენ მუშებს უწევდენ არაადამიანურ ექსპლოატაციას.

ასეთ მდგომარეობას შედეგათ მოჰყვა ის, რომ ხელისუფლებას სათავეში მოექცა წვრილი ბურჟუაზია, რომელიც სარგებლობდა მუშებისა და გლეხების თანაგრძნობით. მაგრამ თავისი წვრილბურჟუაზიული მიდრეკილებათა გამო მან ვერ შესძლო თანდათანობით დაეცვა მუშებისა და გლეხების ინტერესები. ის იძულებული იყო იმპერიალისტების მიმართ დათმობებზე წასულყო, რის გამო ხან მარცხნივ, ხან კიდევ მარჯვნივ იხრებოდა.

იმ მომენტში, როცა წვრილბურჟუაზიული მთავრობების წინააღმდეგ გადმოდიოდენ მემამულეები და სამღვდელოება, იმ მიზნით რათა ხელისუფლებას თავისი მხარეზე ჰყოლოდა მუშები და გლეხები, ის მშრომელთა მიმართ მიდიოდა ზოგიერთ დათმობებზე. როცა ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ენერგიულ შეტევას აწარმოებდა უცხოეთის კაპიტალი, მან უღალატა მშრომელ მასებს კაპიტალისტებისა და მემამულეების სასარგებლოთ.

მესქსიკის წვრილბურჟუაზიულ მთავრობის ძირითადი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ ის ცდილობდა მუშებისა და გლეხების ორგანიზაციების დაჭუცმაცება-დანაწილებას.

ხელისუფლებას ეშინოდა, რომ მექსიკაში მართვა-გამგეობას სათავეში არ ჩადგომოდა პროლეტარიატი, ამიტომ მან ჩამოაყალიბა და გააძლიერა მექსიკის სოციალ გამცემლები — ლ ა ბ ო რ ი ს ტ ე ლ ე ბ ი და მათ გადასცა მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობა.

ეს სოციალ-გამცემლები შეუკავშირდენ ამერიკის შრომის ფედერაციას, ამერიკის იმპერიალიზმის აგენტებს და ამრიგად ცდილობდენ მუშათა მოძრაობანი დაექვემდებარებიათ კაპიტალისტების ინტერესებისათვის.

მიუხედავათ ამისა მუშების ერთი ნაწილი შეურიგებელ და ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა მუშათა კლასის გასანთავისუფლებლად კაპიტალისტური ექსპლოატაციის მძიმე უღლისაგან. ეს ხდებოდა მაშინ, როცა მექსიკელი სოციალ-გამცემლები ლაბორისტელები, მთავრობის დახმარებით სასტიკსა და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდენ მუშათა რევოლიუციონური ფრთის წინააღმდეგ.

ასეთივე პოლიტიკას აწარმოებდა მექსიკის მთავრობა გლეხების მიმართ.

აგრარული საკითხები, ე.ი. მექსიკელი მუშების მიწით დაკმაყოფლების საქმე კუს ნაბიჯით მიდიოდა. მიუხედავათ იმისა, რომ მექსიკაში თითქმის 13 წლის განმავლობაში არსებობდა მუშების მიწის ჩამონაჭრებით დაკმაყოფილების კანონი, მხოლოდ 5 მილიონი ჰექტარი ე. ი. მექსიკის ტერიტორიის 2½% გადავიდა მექსიკელი გლეხების ხელში. დღემდის მექსიკაში გლეხთა მხოლოდ ²/₃ აქვს მიწა, ¹/₃ კი ძლიერ უმნიშვნელო ნაწილი უჭირავს.

გაფიცულ მქსოველი მუშების მიტინგი ნიუ-იორკში. ხმას აძლევენ გაფიცვებს.

გლეხთა ორგანიზაციებს ხშირად თავს ესხმიან მემამულეებისა და სამხედრო მეთაურთა შეიარაღებული ბრბოები. უკანასკნელი წლების განმავლობაში მექსიკაში ყოველკვირაობით ხოცავდენ გლეხთა ორგანიზაციების ათეულ აქტიურ წევრებს.

ნაცვლად იმისა, რომ მექსიკის მთავრობას მოეხდინა მუშათა და გლეხთა მასების შეიარაღება, ის ეყრდნობოდა დაქირავებულ ჯარისკაცებს, რომელსაც მეთაურობდენ ბურჟუაზიასთან კარგად განწყობილი და მათი ინტერესების დამცველი კონტრრევოლიუციონური ღენერლები.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მექსიკის მთავრობა ვერ სარგებლობდა მემამულეების, სამღვდელოებისა და ამერიკელი იმპერიალისტების სიმპატიით. ეს უკანასკნელები ოცნებობდენ მთავრობის სათავეში ჰყოლოდათ არა წვრილბურჟუაზიის მერყევი ბელადები, არამედ ძლიერი და მაგარი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელსაც უნდა შესძლებოდა მუშათა და გლეხთა მასების აღვირის ხელში დაჭერა, მემამულეების, სამღვდელოებისა და უცხოეთის კაპიტალის სასარგებლოდ.

მექსიკაში მომხდარ უკანასკნელ სამხედრო აჯანყებებს ხელმძღვანელობდენ მემამულეები და შეერთებულ შტატების ზოგიერთი კაპიტალისტური დაჯგუფებანი, რომლის ლიკვიდაცია შესაძლოა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა მექსიკის მთავრობა შეაიარაღებს მუშათა და გლეხთა მასებს რეაქციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის საწარმოებლად.

მექსიკის მუშათა კლასი და გლეხობა უკვე დიდი ხანია, რაც დარწმუნდა ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული მთავრობებთან ურთიერთობის უნიადაგობაში, რასაც არავითარი რეალური ღირებულება არ მოაქვს მშრომელთათვის. მის მოწინავე რევოლიუციონურ ორგანიზაციებს კი კარგათ ესმით, რომ მხოლოდ საკუთარი ბრძოლით შესაძლოა მოიპოვოს თავისუფლება.

იანვარში მექსიკაში ჩატარდა მუშათა და გლეხთა შეერთებული ბლოკის კონფერენცია, რომელმაც გამოიტანა დადგენილება, რათა ჩატარდეს ყველა მემამულეების მიწების უსასყიდლოთ ჩამორთმევა, ყველა მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების გაერთიანება მემამულეთა და იმპერიალისტების შემოტევათა მოსაგერიებლად. უკანასკნელად მიღებული ცნობების თანახმად მუშათა და გლეხთა ბლოკი უკვე გამოვიდა კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების საწინააღმდეგოთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მექსიკის მუშათა და გლეხთა ბლოკი ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა და ის რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ერთად შესძლებს ძალაუფლების ხელში აღებას, რათა სწორი გზით წაიყვანოს რევოლიუციონური მასები და ენერგიულად შეუდგეს სოციალიზმის მშენებლობას.

ანდ. ბოროვსკი.

იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი

(მისი გარდაცვალების ათი წლის შესრულების გამო)

მიმდინარე წლის მარტის 16 შესრულდა სრული 10 წელი ამხ. იაკობ მიხეილის-ძე სვერლლოვსკის გარდაცვალებიდან. მკითხველებმა ალბათ კარგად იციან, თუ ვინ იყო ამხ. სვერდლოვი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის კომუნისტური პარტიის ჩამოყალიბება-განმტკიცებისა და პირველი საბჭოთა ქვეყნის მშენებლობის საქმეში.

ჩვენ ამ პატარა წერილით ვერ დავახასიათებთ მისი მოღვაწეობის მთლიან სურათს; ჩვენ გვინდა მხოლოდ ჩვენი მკითხველები გავაცნოთ სვერდლოვის ცხოვრებას შორეულ-პოლიარულ ციმბირში გადასახლების დროს, რომელიც მკაფიოდ გამოეყოფა მთელ მის ცხოვრებას და პიროუთვნელ დახასიათებას იძლევა ამ რკინის ადამიანის ბრძოლისა და მოღვაწეობისას.

ზედა-ტურსკის საპყრობილის საკანში მარტო ყოფნის (ი. მ. სვერდლოვი, 1906 წ. შემდეგ გასამართლებული იქნა და მას მიესაჯა 2½ წლის კატორღა) შემდეგ ის ხვდება ჟანდარმების განკარგულებით ველური მხარის ნარიმის დასასრულ ადგილებში. მაგრამ ამ შორეულ და მიყრუე-

ბულ ადგილშიაც კი ყოველთვის შიშის ქვეშ აყენებდა ეს შეუპოვარი რევოლიუციონური მეფის ჟანდარმერიასა და მის დამჭაშებს. ამრიგად ნარიმში გადასახლებულთა მიერ მოწყობილი დემონსტრაციის ხელმძღვანელობისათვის შეპყრობილ იქნა ამხ. სვერდლოვი. სვერდლოვმა დაკითხვის დროს დაამტკიცა, რომ დემონსტრაციის მოწყობის დროს ის ნარიმში არ ყოფილა, არამედ იმ ხანებში ის იყო კოლპაშოვში, რომელიც დემონსტრაციის ადგილიდან დაშორებულია მთელი ასი ვერსის მანძილზე, სიდანაც ყოველგვარ საღსარს მოკლებულ კაცს არ შეეძლო ხელმძღვანელობის გაწევა. ამ სიტყვებზე უპასუხეს მას: „სულერთია შენ იქიდანაც კი შესძლებდი ხელმძღვანელობის გაწევასო". იმ მიზნით, რომ ამ შეუპოვარი რევოლიუციონერის უდიდესი ენტუზიაზმი ჩაექრო ის გადაასახლეს შორეულ ტუნდრებში „მაქსიმკინ იარში", რომლის მოგონებაზე ჟრუანტელი უვლიდა ყველაზე უდიდეს რევოლიუციონერებს.

სვერდლოვი ერთად-ერთი დარჩა ველურ ადამიანებთან, სადაც მუდმივად ნისლი სდგას და ყინულით მოფენილია მთელი მხარე. სვერდლოვმა ასეთ მძიმე პირობებშიაც კი შეინახა რევოლიუციონური ნებისყოფა, შეუდრეკელი ბრძოლის უნარი, მიუხედავათ ჯანმრთელობის სისუსტისა მან დაიწყო მეთევზეობა და ამით ირჩენდა თავს. ამ მხარეში წლიდან-წლობამდე მხოლოდ ერთხელ მოდის გემი, ფოსტა კი ყოველ ექვს თვეში ერთხელ, ის ბევრჯერ გაიქცა. ერთხელ სექტემბერში ის ყინულით სავსე მდინარეში ნავით მიცურავდა, გზაში მას მოუსწრო ქარბუქმა და ნავი გადაუბრუნა. მეთევზეებმა შეამჩნიეს ამხ. სვერდლოვი და ძლივს გადაარჩინეს დაღუპვას, ამის

ია კ ო ბ მ ი ხ ე ლ ი ს ძ ე ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი გადასახლებაში.

შემდეგ ის მთელი 15 საათის განმავლობაში დარჩა ყინულის კუნძულზე. მაგრამ არავითარ მკაცრ პირობებს არ შეეძლო ამხ. სვერდლოვის ნებისყოფის გატეხა, როგორც ეს ვერ შესძლო ტრუხანის ოლქში სამი წლის განმავლობაში (1913 წლ.) ყოფნამ, საიდანაც ის მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ გაანთავისუფლა.

ს ა პ ი რ ვ ე ლ მ ა ი ს ო

ჩვენს ქვეყანაში სულ სხვანაირად
უკვე თენდება მაისის დილა.
სხივები ჰკოცნის შვების ბაირაღს —
თავისუფლება ჩვენ გვერგო წილად.
წითელი დროშით, დიდი, პატარა,
მღერის, ზეიმობს პირველ მაისით —
შავ დრომ თუ ხუნდში დიდხანს გვატარა,
დღეს ოქტომბერმა მოგვცა აისი.
კოხტაა დილა, მზის ცხელი თვალით
როცა მთებისკენ მოიწევს შვება
და დიდ ქალაქში ზეიმით მთვრალი
ეძლევა მუშა თავდავიწყებას.
ბრძოლის ფერია ცაში თამაშობს
და ფრთებს შლის შრომა და იმედები,
როცა ოფლს სწურავს ქარხნის ღვედები
რკინის გედები ცეცხლს რომ თამაშობს.
განთავისუფლდა მუშა, ისვენებს
ფეხებს არ უჭრის რკალი ბორკილის
ის ლითონების ცეცხლიან ენებს
ბორბლებში სწურავს მაჯიან რკინით.
ჩვენ პირველ მაისს მუდამ ვზეიმობთ
საშვილისშვილო წითელ დროშებით.
ქალაქი სოფელს ამ დღეს ულოცავს
მაისის დილით მუშური შვებით.
ეს ჩვენში. სხვაგან? — სიმწუხარეა!
ბორკილებს ათრევს მუშა და გლეხი
დატანჯულია მშრომელთა მხარე.
თავზე ატყდებათ რისხვა და მეხი.
სხვა ქვეყნებშიაც ჩვენი ძმებია
დანატრულები ოქტომბრის ზარით.
უნდა რომ შვების დადგან ძნებია
რომ ზეიმობდეს მშობელთა ჯარი.
ასეც იქნება ერთ მზიან დღეში.
მოვა დრო, როცა დადგება მორად
დამჩაგვრელების ძვლები და ლეში.
წავა ქვეყანა მართლი გზით, სწორად...
ძმებო, ლენინის მედგარ დროშითა
დე, სხვა ქვეყანებშიაც იყოს აისი, —
დაიმსხვრეს ტანჯვის ბორკილები და
ყველგან გათენდეს წითლად მაისი.

შალვა ჯანბერიძე.

მომაკვდინებელი რაციონალიზაცია

ახლო წარსულში გერმანიაში ჩაატარეს „მომხდარ უბედურ შემთხვევათა გამოკვლევის კვირეული". ამ გამოკვლევას ხელმძღვანელობდა სრულიად გერმანიის გაერთიანებული პროფკავშირები — მთავრობის „სოციალისტები", რეაქციონური კოოპერატიული გაერთიანებანი, კერძო მესაკუთრეთა ორგანიზაციები და ყვითელი, ნაციონალური პროფკავშირები.

ამ გამოკველევის მიზეზი იყო გერმანიის სამრეწველოებში უბედური შემთხვევების გახშირება. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 1924 წ. 64.500 უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ხოლო 1928 წ. კი — 200000 — მეტს. მათ შორის 24.000 სასიკვდილოდ დაშავდა.



რუმინელი რევოლიუციონერი ქალები საპატიმროში.

ზემოთ აღნიშნული კვირეული მიზნათ ისახავდა გამოერკვია ამ უბედურ შემთხვევათა გამომწვევი მიზეზები, რათა მიეღო ზომები მომავალში ასეთების თავიდან ასაცილებლად.

ამ კვირეულის ჩატარების ორგანზატორები, უბედურ შემთხვევების გახშირებას აწერდენ მუშების სასქმისადმი გულგრილად მოპყრობას. აქედან ცხადია, ამ კვირეულის მიზანს შეადგენდა მიეჩქმალა ნამდვილი მიზეზები, უბედურ შემთხვევათა გამოწვევისა.

ერთ-ერთმა მუშა კორესპოდენტმა განიზრახა უფრო ღრმად შეჭრილიყო ამ სტატისტიკის სიღრმეში. მან გამოარკვია, რომ უბედურ შემთხვევათა ნამდვილი გამომწვევი მიზეზები მდგომარეობს, თვით მუშაობის დაყენების სისტემაში.

ეს მუშა კორესპოდენტი არ წასულა არც პროფკავშირებში კერძო მესაკუთრეთა ბიუროში არამედ ის გაემართა პირდაპირ წარმოებაში. ერთ-ერთ, დიდ ელექტრონის ფაბრიკაში ის შევიდა სწორედ მაშინ, როცა მუშებს ჰქონდათ სასაუზმო დასვენება. მუშებმა მას მისცეს ყოველგვარი საჭირო ცნობები, — ჩვენში რაციონალიზაცია დიდი ხანია, რაც ჩატარდა. იქ, სადაც წინეთ იჯდა კვალიფიკაციური მუშა, დღეს ზის სრულიად უკვალიფიკაციო მუშა ქალი. რაციონალიზაციის წყალობით, ის მუშაობს ორჯერ მეტს. წარმოებას კი უჯდება ნახევარი ფასი. ახლო წარსულში ისევ დადგმული იქნა ახალი მანქანები, რომლის შემდეგ 400 მუშა დაითხოვეს სამსახურიდან. აქ საქმეს სრულიად მარტივად უყურებენ, ყოველმა მუშამ უნდა მოუაროს ურიცხვ მანქანებს. წარმოებამ დათხოვნილ 400 მუშის მაგივრად მიიღო 50 მოზარდი და 30 ქალი.

წარმოების მეპატრონენი სხვა და სხვა საჩუქრების სახით ადიდებენ გამომუშავების ნორმას, ხოლო, როცა ეს მიღწეულია, მაშინ უეცრად უკლებენ ხელფასის რაოდენობას. ამ შემთხვევაში მუშას სხვა არა დარჩენია, რა გარდა იმისა, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს წარმოების გადიდებას. ის იძულებულია იმუშაოს ზედმეტი საათები თუ მას სურს გამოიმუშაოს ახალი ზედმეტი ნორმა, რათა მან შეინარჩუნოს მისი წინანდელი ხელფასის რაოდენობა, თუ კი ესა თუ ის მუშა, ამას ვერ აასრულებს მას ითხოვენ წარმოებიდან და ისედაც მრავალრიცხოვან უმუშევრებს ემატება ახალი კადრი უმუშევრებისა. უბედურ შემთხვევათა დიდ უმრავლესობას ადგილი აქვს, ან სადილობის დასვენების დროს, ან მუშაობის დამთავრების უკანასკნელ ორ საათის განმავლობაში. ეს გარემოება ამტკიცებს იმას, რომ მუშები იღლებიან მუშაობის დროს.

ამის შემდეგ მუშა კორესპოდენტი გაემგზავრა ნეიკელნში ბელისა და პრედელის ფეხსაცმელების ფაბრიკაში. ამ ოთხი-ხუთი წლის უკან, როცა იქ მუშაობდენ კვალიფიკაცური მუშები უბედურ შემთხვევებს თითქმის არ ქონია ადგილი. ეხლა კი ყოველ კვირაში თითო შემთხვევას მაინც აქვს ადგილი. ეხლა ამ წარმოებაში ჩატარებულია, რაციონალიზაცია, მუშაობას ზედამხედველობს კონვეიერი, რომელსაც მუდამ ხელში უჭირავს, წუთების მაჩვენებელი. აი ამ წარმოებაში ადგილი აქვს პრემიების გაცემას და ყოველთვის, როცა ადგილი აქვს, ახალ, გამომუშავების ნორმის აწევას, ამ უკანასკნელს სთვლიან ნორმად, ამრიგად მუშაობის ტემპი ჩქარა სწარმოებს. კონვეიერი და ხელოსანი, რომლებსაც მუდამ ხელში აქვთ წუთების მაჩვენებელი, შეუბრალებლად ეპყრობიან, მომუშავეებს. ამ წარმოებაში მუშაობა სწარმოებს სრული ცხრა საათის განმავლობაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოზარდთათვის, სამუშაო დღის ნორმა, როგორც ამ ფაბრიკაში ისე სხვაგანაც, გათანაბრებულია მოზრდილთა მუშაობის დღის ნორმასთან. ახალგაზრდები, პირიქით უარეს მდგომარეობაში არიან, ისინი საერთო მუშაობის დამთავრების შემდეგ ვალდებულნი არიან მიასუფთაონ წარმოება. ცოტაოდენი განსხვავება არსებობს, მოზარდთა და ქალებისათვის, რომლებიც 5%-ით ნაკლებს იღებენ ჯამაგირს. ვინაიდან წარ



კაპიტალისტური რაციონალიზაციის მიერ ქუჩაში გამოგდებული, უმუშევრის თავშესაფარი ღამღამობით.

მოება აყვავების პროცესს განიცდის. მუშებისათვის არსებობს შეღავათები. ყოველ მეორე წელში ორი-სამი ათეული დღეები გასულ თვეების განმავლობაში მუშაობის გამო. მუშაობის ყოველი წლის შემდეგ, დასვენების ნორმას ემატება თითო დღე. ამ წარმოებიდან მუშა-კორესპოდენტი ხვდება ქიმიურ ქარხანაში. სწორეთ იმ დღეს, როდესაც სწარმოებდა (ჯამაგირების, 30-50 მარკის რაოდენობით) ღარიგება. ამ თანხიდან მას უბრიან დაზღვევის, დაშავების, უმუშევრად ყოფნის დროს დასაკმაყოფილებლად. მათ უბრიან აგრეთვე განსაზღვრულ პროცენტებს საავადმყოფოს სალაროსა და გაწერილი გადასახადის დასაფარავად საგრძნობ თანხას, რომელიც უდრის 7-9%-ს.

მუშები უკმაყოფილოებას გამოსთქვამენ და გაიძახიან: „ჩვენ ამ გროშებზე ვმუშაობთ მთელი კვირის განმავლობაში, ჩვენი ჯამაგირის ერთი მესამედი კი მიდის მარტო ოთახისა და გათბობის ხარჯების დასაფარავად. იმ წარმოებებში, სადაც მუშავდება შხამიანი ჰაირი, არ მოძრაობს „ვენტელიატორი" რასაც ხშირად შედეგად მოსდევს ხოლმე მუშების დაავადება.

ქუჩებში ხშრად შეხვდებით გამოკრულ წითელ პლატოკებს. კომუნისტური პარტია იწვევს მუშებს მასიურ კრებებზე სადაც მოხსენების თემად გამოცხადებულია: „კაპიტალისტური და სოციალისტური რაციონალიზაცია" კრებაზე დამსწრე ასეული მუშები გაიძახიან შემდეგ ლოზუნგებს: — „რვა საათის სამუშაო დღე!" — მუშაობის ზედმეტი საათები ლუკმა პურსართმევს მუშას!"

— ძირს კაპიტალისტური რაციონალიზაცია — გაუმარჯოს სოციალისტურ რაციონალიზაციას!"

სიტყვას ამბობს ორმოცდა ხუთი წლის მუშა, რომელიც სამოცი წლისას მოგაგონებთ -- „მე ვმუშაობ ერთერთ წარმოებაში 30 წლის განმავლობაში. ეხლა მე არ შემიძლია ფეხდაფეხ მივყვე მუშაობის გაშმაგებულ ტემპს, ამიტომ მე გამაგდეს წარმოებიდან. სად უნდა მივიღონ მე 45 წლის კაცი, როცა საკმაოდ ბევრია ახალგაზრდობა. შესაძლოა მე მივიღო დახმარება 26 კვირის განმავლობაში, მაგრამ არც ეს მჯერა. სულ ერთია, კიდეც, რომ მომცენ მაინც არას მიშველის, ერთადერთი გამოსავალია ნელ-ნელა სიმშილით სიკვდილი".

ტრიბუნაზე ადის ახალგაზრდა მუშა ქალი. ის ამბობს: „საკმარისია დაიგვიანო ორიოდე წუთი რომ მთელი საათის ჯამაგირი გამოგიქვითონ: უმნიშვნელო შეცდომისათვის დირექცია აწესებს ჯარიმას.

აი კიდევ მეორე მუშა ქალი, რომელიც ამბობს: „მე მანქანასთან ვიდექი ფეხმძიმეობის მეცხრე თვემდე, როცა ბავში დაიბადა მომხსნეს სამსახურიდან".

უკმაყოფილებას გამოსთქვამენ აგრეთვე სხვა მუშები, მუშა ქალები. ახალგაზრდა მუშები, მოსამსახურეები და უმუშევრები.

საერთოდ ყველა ერთსა და იმავეს გაიძახის: „წარმოებებში გატარებულია რაციონალიზაცია. მუშების სიცოცხლე და ჯანმრთელობა გაცილებით უფრო იაფი ღირს ვინემ ოდესმე. რაციონალიზაცია ორმაგ მოგებას აძლევს მეპატრონეს. ის აძლიერებს მის შემოსავალს და ამავე დროს, წარმოადგენს საუკეთესო იარაღს ჩამოუყალიბებელ მუშების წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის საწარმოებლად.

გაემგზავრეთ საბჭოთა კავშირში. იქაც ადგილი აქვს რაციონალიზაციას, მაგრამ ის დამყარებულია სამართლიანობაზე, რომელსაც მეთაურობენ და ხელმძღვანელობენ თვით მუშები. იქ ფაბრიკა-ქარხნები გადადიან უკვე შვიდი საათის სამუშაო დღეზე.

ვიბრძოლოთ ჩვენც ისე, როგორც იბრძოდენ რუსი მუშები!"

მუშა კორესპოდენტმა მრავალი, რამ მოისმინა, რომელიც ნათელ ჰყოფს უბედურ შემთხვევათა გახშირების ნამდვილ მიზეზებს. მან იცის აგრეთვე, რომ აუცილებლათ დადგება ჟამი, როცა ეს მომაკვდინებელი სისტემა მოექცევა გამოუვალ ჩიხში სადაც მას მიწის პირიდან აღგვის რევოლიუციის ძლევამოსილი ქარიშხალი.

ოლღა ბენარიო.

უმუშევარი სამთო-მადნო მუშების ბავშები.

ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა

ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკამ იარსება სულ სამოდე კვირის განმავლობაში, მისი გამოცხადება, მცირეოდენი ხნის განმავლობაში წარმოებული ბრძოლა და დამარცხება სავსეა ისეთი ცოცხალი გაკვეთილებით, რომელიც სამაგალითოდ გამოადგება არა მარტო გერმანიის მუშათა კლასს, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელ მასებს.



ბერძენ ლტოლვილთა თავშესაფარი.

1918 წლის ნოემბრის რევოლიუციამ კაიზერთან ერთად, რომელიც იმ დროს მართავდა გერმანიას, ჩამოაგდო მთელი რიგი მეფეებისა და გავლენიანი თავადიშვილებისა, ცალკე სახელმწიფოში, რომლებიდანაც შესდგებოდა გერმანიის იმპერია. რევოლიუციის შემდეგ მთელ ამ მხარეში ხელისუფლებას სათავეში მოექცა ებერტის, შეიდემანის და ნოსკეს „სოციალ-დემოკრატიული მთავრობა".

რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ამ „სოციალისტებმა" კაიზერის გენერლებთან შეიქმნეს მჭიდრო კავშირი და შეერთებულის ძალით მიწისქვეშ გაასწორეს ბერლინის პროლეტარიატის მიერ იანვარში მოწყობილი რევოლიუციონური მოძრაობა, მათ სისხლის მორევში ჩაახრჩვეს აგრეთვე რეინვესფალდის ოლქის და შუა გერმანიის სამთო და მელითონე მუშების აჯანყება და ბერლინის პროლეტარიატის მეორე აჯანყება 1919 წ. მარტს. გერმანიის რევოლიუციონური მუშათა კლასის მოძრაობის ისტორია დაწერილია გერმანიის მუშათა კლასის ბელადებისა და მისი საუკეთესო წარმომადგენლობის კარლ ლიბკნეხტის როზა ლიუქსენბურგის და ლეო იოგიხეს სისხლით, რომლებიც დაეცენ სოციალ-დემოკრატების მიერ მოსყიდული ჯალათების მახვილის ქვეშ.

1919 წ. გერმანიის კონტრევოლიუციამ დაამარცხა შუა გერმანიის მუშები. ქალ. ვაიმარში თავი მოიყარა ნაციონალურმა დამფუძნებელმა კრებამ, სადაც სოციალ-დემოკრატიული დეპუტატები ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად ამუშავებდენ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციას. ამ დროს გერმანიის სამხრეთ ნაწილში სახელდობრ ბავარიაში ძლიერდებოდა რევოლიუციონური განწყობილება. რუსეთისა და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკების შემყურე ბავარიის სატახტო ქალაქ მიუნჰეინის პროლეტარიატი და ადგილობრივი გარნიზონის ნაწილი თხოულობდა პროლეტარული დიქტატურის გამოცხადებას.

უნდა ითქვას, რომ საამისო ნიადაგი არ იყო მომზადებული ვინაიდან გერმანიის სხვა ნაწილების მუშების ერთსულოვანი თანაგრძნობის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელი იყო ბავარიის საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება და მისი განმტკიცება, ვინაიდან მთელს გერმანიაში შემავალი სახელმწიფოთა შორის ბავარია წარმოადგენს ყველაზე უფრო უძლურს მრეწველობის განვითარების მიხედვით. აქ მოსალოდნელი იყო კულაკებისა და მემამულეების აშკარა გამოსვლა. ამავე დროს შეუძლებელი იყო ბავარიის მუშებისაგან რაიმე დახმარების მიღება ვინაიდან ეს უკანასკნელი საგრძნობლად დაშორებულია ბავარიას. ჩრდილოეთით კი მის არსებობას საფრთხეს უმზადებდენ ნოსკეს თეთრ გვარდიელთა ბანდები, რომლებიც სულ წინ მოიწევდენ ბერლინში მარტის აჯანყებების ჩაქრობის შემდეგ.

ყველა ამ მიზეზების გამო ბავარიის ახლად ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა რათა მუშებს არ მოეწყო გამოსვლები შეუფერებელ მომენტში. კომუნისტურმა პარტიამ იმ ხანებში წამოისროლა შემდეგი ლოზუნგი: შეკრება და ძალთა განმტკიცება, და შესაფერისი მომენტის ლოდინი.

სულ სხვანაირად მსჯელობენ სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც კარგად იცოდენ, რომ ძალთა შეკრება და დამშვიდებით ლოდინი მოხერხებულ მომენტამდე იყო რევოლიუციონური პროლეტარიატის მოწინავე ნაწილის ტაქტიკა, რომელსაც საბოლოო გამარჯვება უნდა მიენიჭებია მუშებისათვის, ამიტომ სოციალ-დემოკრატები შეეცადენ მოეწყოთ შესაფერის დრომდე გამოსვლების პროვოკაცია, რომლის წინააღმდეგაც ისინი ემზადებოდენ გასალაშქრებლად.

აპრილის 6-ს ყველა პარტიებს სოც.-დემოკრატების, დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატების, ანარქისტების და კომუნისტების წარმომადგენლების თათბირზე — ხმის დიდი უმრავლესობით (წინააღმდეგ გამოდოდენ მარტო კომუნისტები) დადგენილი იქნა გამოეცხადებიათ საბჭოთა რესპუბლიკა და ამ მიზნით კიდეც ჩამოაყალიბეს საბჭოთა მთავრობა. ამავე დროს სოც.-დემოკრატების ერთ-ერთი მთავარი ბელადი — გოფმანი მიუჰენიდან გაემგზავრა ჩრდილოეთ ბავარიისაკენ, რომელიც თითქოს მიზნათ ისახავდა ჩაეტარებია სააგიტაციო კამპანიები ამ უკანასკნელის საბჭოთა ხელისუფლებასთან შესაერთებლად. როცა გოფმანი ქ. ბამბერდში ჩავიდა მან საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლო აგიტაციის ნაცვლად, ჩამოაყალიბა მეორე მთავრობა და თავის გარშემო შემოიკრიბა კულაკები და თეთრი გვარდიელები, რომელთა დახმარებით ის შეუდგა მიუნჰენის წინააღმდეგ გალაშქრების წინასწარ სამზადისს.

5 დღის შემდეგ მიუნჰენში დაიწყო თეთრ გვარდიელების აჯანყება. მათ დაიკავეს სადგური, დააპატიმრეს საბჭოთა მთავრობის ერთი ნაწილი და შეეცადენ მუშების

განიარაღებას, ამან გამოიწვია სამოქალაქო ომი. მუშებმა აისხეს იარაღი და გააჩაღეს თეთრ გვარდელებთან ბრძოლა, რომლის ხელმძღვანელობა აიღო კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც ჩამოაყალბა მეორე ახალი მთავრობა ევგენი ლევინეს თაოსნობით. აპრილის 13-ს ღამით დაამარცხეს თეთრები და ისინი განაიარაღეს. 20 ათასი მუშა შევიდა წითელ არმიაში. ახალმა სახ. კომ. საბჭომ მაშინათვე გამოსცა დეკრეტი ბანკების კაპიტალის კონფისკაციის, მრეწველობის სოციალიზაციის განსაკუთრებული კომისიის შექმნის, და რევოლიუციონურ ტრიბუნალის შექმნის შესახებ. მან მოწოდებით მიმართა ავსტრიის და ჩრდილოეთ გერმანიის პროლეტარიატს და დაამყარა კავშირი უნგრეთისა და რუსეთის სოცალისტურ ფედერატიულ რესპუბლიკების კავშირთან. კომუნისტები აკეთებენ ყველაფერ იმას, რაც უზრუნველყოფდა პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნებას. მათ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ნოსკეს თეთრ გვარდიელთა კორპუსების შემოტევის მოგერიება, რომელსაც მეთაურობდა ცნობილი ჯალათი ღენერალი ოვენი.

მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლების დაწყებამდე მიუნჰენში მოხდა გადატრიალება. აპრილის 27-ს ჩამოგდებულ იქნა კომუნისტური მთავრობა ავანტიურისტების ერთი მუჭა ბანდების მიერ, რომლებმაც აპრილის 30-ს თეთრი გვარდიელებს გაუხსნეს შეკრული ფრონტი ქალ. დახაუში, რის შემდეგ ქალ. მიუნჰენს შემოესია თეთრ-გვარდიელთა ურდოები.

1919 წ. 1-ლ მაისს დაიწყო თარეში, რომლის დროს მსხვერპლად დაეცენ მუშ. ათასეულებმა ბრძოლის დროს. გმირულად დაეცა წითელი არმიის მთავარსარდალი ევგენი ლევინე „სახელმწიფო ღალატისათვის“ გადაეცა სამხედრო საველე სასამართლოს, რომელმაც მიუსაჯა მას უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა. ნოსკემ მიიღო პატაკი ღენერალ ოვენისაგან წითელ მიუნჰენის აღების შესახებ, რომლის საპასუხოდ მან გადმოგზავნა შემდგი შინაარსის დეპეშა: „მოგილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას. თქვენ და ყველა ჯარებს სოციალისტური მთავრობს სახელით გიცხადებთ უგულითადეს მადლობას.“

დ. ვოლმანი.

ამხ. დობროჯანუ-გერეა სიმშილობს

რუმინეთის ერთ-ერთ საპატიმროში — ჟილავაში მიმდინარე წლის იანვრის ბოლო რიცხვებიდან სიმშილობას განაგრძობს ცნობილი რუმინელი რევოლიუციონერი ამხ. დ ო ბ ო რ ჯ ა ნ უ-გ ე რ ე ა.

ამხ. დობროჯანუს შეპყრობით ზეიმობდა რუმინეთის ხელისუფლების ერთგული დამცველი სიგურიანცა. დობორჯანუს სახით მან შეიპყრო რუმინეთის რევოლიუციონური მუშათა კლასის ერთ-ერთი თავდადებული და შეუპოვარი მებრძოლი რევოლიუციონერი, რომელიც დაუძინებელი მტერი იყო ს.ს.რ. წინააღმდეგ მიმართული ომის სამზადისისა. ჯერ კიდევ საერთაშორისო ომის დროს ამხ. დობროჯანუ გაცხოველებულ პროპაგანდა-აგიტაციას აწარმოებდა ფრონტებზე მყოფ რუმინელ და რუს-ჯარისკაცებს შორის. მისი ხელმძღვანელობით 1918 წლ. 1-ღ მაისს რუსის ჯარისკაცებმა იასსის საპატიმროდან გა... თავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები. 1920 წ. ამხ. დობროჯანუ არჩეულ იქნა რუმინეთის პარლამენტის დეპუტატად პრახოვის ოლქიდან. იმავე 1920 წ. სექტემბერში ის შედიოდა წევრად იმ დელეგაციაში, რომელმაც ინახულა მაშინ ს.ს.რ. კავშირი. 1921 წ. რუმინეთში დაბრუნებისთანავე ის ისევ დაპატიმრებული იქნა და საპატიმროში დარჩა 1922 წ. შუა რიცხვამდე. რუმინეთის ლიბერალურმა მთავრობამ მას ბრალდება წაუყენა, როგორც საქვეყნოდ ცნობილი „270“ პროცესის ერთ მთავარ ბრალდებულს, სადაც ასამართლებდენ მემარცხენე ფრთის დიდ უმრავლესობას, რომელმაც 1921 წ. მაისის 6 კონგრესზე მიიღეს მესამე კომუნისტური ინტერნაციონალთან შეერთების რეზოლიუცია. 1922 წ. გამოქვეყნებული ამნისტიის ძალით განთავისუფლების შემდეგ ამხ. დობროჯანუ რედაქტორობდა რუმინელ ენაზე კომუნისტურ გაზეთ „სოციალისმულ“-ს ვიდრე რუმინეთის კომუნისტური პარტია ისევ არ მოექცა ჭერქვეშ. 1924 წ. ამხ. დობროჯანუ ისევ შეიპყრეს ხანგრძლივი წვალებისა და ცდის შემდეგ ის ისევ ახერხებს განთავისუფლებას. იმავე 1924 წ. დეკემბერში დობროჯანუ ისევ დააპატიმრეს და ბრალდებად წაუყენეს კომუნისტური პარტიის წევრობა. 1925 წ. გასამართლების დროს ამხ. დობროჯანუ სხვა დანარჩენი ბრალდებულებთან ერთად გაექცა სიგურიანცასა და იუსტიციას, რომელმაც მას მიუსაჯა ათი წლის ვადით ციხეში დაპატიმრება.

ამხ. დობროჯანუ სიმშილობს ცალკე საკანში.

1929 წ. იანვრის 24 ისევ შეიპყრეს ამხ. დობროჯანუ დაპატიმრების მეორე დღესვე მან საპროტესტო წერილი გაუგზავნა იუსტიციის მინისტრს, სადაც ის იმუქრებოდა სიმშილობის გამოცხადებით, თუ ის არ იქნებოდა დაუყონებლივ განთავისუფლებული. მინისტრმა დობროჯანუს პროტესტი სრულიად უპასუხოდ დასტოვა ამის შემდეგ,

მან გამოაცხადა სიმშილობა. თებერვლის 14 ქ. ბუქარესტში დობროჯანუ გაასამართლა სამხედრო სასამართლომ რომელმაც მას მიუსაჯა 8 წლის ვადით პატიმრობა.

დობროჯანუს გასამართლების წინააღმდეგ ევროპის ყველა ქვეყნებიდან შემოსულ პროტესტების რუმინეთის ხელისუფლება შეხვდა სრული სიჩუმით. მთავრობას დღემდის თავის საპყრობილეში ჰყავს გამოკეტლი ამხ. დობროჯანუ. მას მოელის ისეთივე საშინელებით დაღუპვა, როგორითაც დაიღუპა რუმინელი ცნობილი რევოლიუციონერი ამხ. მაქს გოლდშტეინი.

უკანასკნელად მიღებული ცნობების თანახმად დობროჯანუ სიმშილობს უკვე 45 დღის განმავლობაში. რამაც საშინლად დაასუსტა. მისი გულის მოძრაობა სწარმოებს ხელოვნური საშუალებით. მდგომარეობა იმდენად გართულებულია, რომ თვით საპატიმროს ადმინისტრაციამ საჭიროდ სცნო გადაეყვანა ის საპატიმროს ჰოსპიტალში. ჩვენ ვიცით, რომ სიმშილობის 30-ე დღეზე ადამიანს უკვე აღარ შეუძლა საჭმელის მიღება, კიდეც რომ მოისურვოს.

დობროჯანუსადმი მიყენებული წამების საპროტესტო ხმები გაისმის დღეს დედამიწის ყველა კუთხეებში. ს.ს.რ.კ. ყოველდღე იმართება კრებები და მიტინგები, სადაც მშრომელ მასებს გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები, რომელშიაც მოითხოვენ დობროჯანუს მდგომარეობის შემსუბუქებას.

უნგრეთის საპყრობილეში

უნგრეთის საპყრობილეში ყველაზე უფრო საშინელი პირობებია მთელს ევროპაში. ამ ციხეებში გამეფებული რეჟიმი არაფრით არ განირჩევა თუნდაც ისეთი ქვეყნების „სახელგანთქმული“ საპყრობილეების რეჟიმისაგან— როგორიცაა მაგალითად რუმინეთი, ბულგარეთი, პოლონეთი და სხვადასხვა. ქვემოდ მოთავსებული წერილი, რომელიც ეკუთვნის ახლო წარსულში ცნობილი სანტოს პროცესის მონაწილეს ამხ. ემერენ ვლანცის კალამს, რომელმაც უნგრეთის საპყრობილეში დაჰყო 2042 თვეზე მეტი გვიხატავს უნგრეთის საპყრობილეში მოქცეულ პოლიტ-პატიმართა ყოფაცხოვრებას და მათ აუტანელ პირობებს.

„ეს არის ქალაქის უძველეს ნაწილში ამართული უზარმაზარი სახლი, რომელსაც ეწოდება ბუდაეს საპყრობილე. ამ საპატიმროს ქუჩიდან ჩვეულებრივი სა-

პოლიციელთა ერთი ჯგუფი, რომელმაც რეზინის ჯოხებით გარეკა ბერლინში მოწყობილი ანტიფაშისტური დემონსტრაცია.

ხლის შეხედულება აქვს. ქუჩის პირას გაკეთებული ფანჯრებზე თქვენ ვერ დაინახავთ რკინის მოაჯირს, ვინაიდან ყველა საკანი ცალ-ცალკე გადის საპატიმროს ეზოში. საპატიმროს შიგნით გაკეთებულია გრძელი და ჩაბნელებული დერეფანი, რომლის ორთავე მხარეზე გაკეთებულია რკინის კარები.

ჩვენ სათითაოდ ცალ-ცალკე საკანებში მოგვათავსეს. იმ მიზნით რომ ჩვენ არ გვქონდა საკნის კედლებიდან ერთიმეორისაკენ რაიმე ნიშნების მიცემის საშუალება მოგვათავსეს ისეთ საკნებში, რომელთა შორის გაკეთებული იყო „კარცერები“.

საქმის გარჩევამდე ერთი თვის განმავლობაში ჩვენ ვისხედით სრულიად განმარტოებით და მოწყვეტილი ვიყავით ქვეყანას. ჩვენ იმის საშუალებაც კი არ გვქონდა, რომ ცნობა მიგვეცა მშობლებისათვის, იმის შესახებ, თუ სად ვიმყოფებოდით. არ გვაძლევდენ კითხვის უფლებას, არც სამუშაოზე გვიშვებდენ. დღისით არა მარტო დაწოლა, არამედ დაჯდომაც კი არ შეგვეძლო ნარებზე. მთელი ხნის განმავლობაში ჩვენ მხოლოდ ორჯერ მოგვცეს ვექილთან გასაუბრების საშუალება, ისიც ზედამხედველის თანდასწრებით.

დაბოლოს დანიშნული იქნა სამხედრო სასამართლოს სხდომა, მხოლოდ ამ დროს მოგვცეს ჩვენ საშუალება გვესარგებლებია იმ „პრივილეგიით“, რომლითაც სარგებლობენ სისხლის სამართლის დამნაშავე პატიმრები. ჩვენ შეგვეძლო ნათესავებთან მიწერ-მოწერა გვეწარმოებია თვეში ერთხელ, მიგვეღო წიგნები კათოლიკური მისიის ბიბლიოთეკიდან.

სურსათ-სანოვაგისა და საერთოდ კვების შესახებ ლაპარაკი ზედმეტია ყოველ დილით ჩვენ გვაძლევდენ 2 ლიტრა თბილ წყალს, რომელსაც რაღაც საეჭვო, მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა ხოლმე. შუადღისას მოხარშულ დამპალ კომბოსტოს, საღამოობით კი ისევ ე. წ. „სუფს“. გარდა ამისა დღეში გვაძლევდენ მეტად მდარე ხარისხის 400 გრ. პურს.

ამ საპყრობილეში დავრჩით ჩვენ გამოძიების დასრულებამდე სრული 8½ თვის განმავლობაში. დაბოლოს, ხანგრძლივი შეტაკებისა და დავიდარაბის შემდეგ ჩვენ მოვიპოვეთ ცოტაოდენი უფლებები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წიგნები ჩვენამდე თავისუფლად ვერ აღწევდენ, უწინარეს ყოვლისა ისინი უნდა გაესინჯათ კათოლიკურ ბერებს, რომ რაიმე საეჭვო და მიუღებელი რამ არ გაპარულიყო. ამიტომ ჩვენ აღფრთოვანებით შევეგებეთ იმ გარემოებას, რომ სასამართლოს დამთავრების შემდეგ ჩვენ გადაგვიყვანეს „შესაკრებ საპატიმროში“.

რემედასი საქართველოში

მუშაობა კარგად მიდის

(გურიის სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმი)

ხუთი წელია, რაც გურიის სას. სამ. ტეხნიკუმთან არსებობს რემედასის უჯრედი. უნდა ავღნიშნოთ, რომ გასულ წლებში მუშაობა არ იყო სასურველ დონეზე დაყენებული, რაც უნდა მიეწეროს მაღლამდგომ ორგანიზაციების სათანადო ხელმძღვანელობის მუგვარებლობას. ლობას.

უნდა ითქვას, რომ რემედასის ორგანიზაციის წევრები აქტიურ და მხურვალე მონაწილეობას იღებენ ორგანიზაციის ყოველგვარ მუშაობაში და დიდი ხალისით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. თუ გასულ წელს ბიუროს ძველი შემადგენლობა უგეგმოდ ატარებდა თავის მუშაობას, მიმდინარე წელს ახლად არჩეულმა ბიურომ წინასწარ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ტარდება ცხოვრებაში, ესა თუ ის ღონისძიება. ორგანიზაციაში დღეს-დღეობით წევრად ითვლება 112 კაცი, რომელთა უმრავლესობას შეადგენს მოწაფეობა. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ წინად სკოლის პედაგოგიური პერსონალი ნაკლები ყურადღებით ექცეოდა რემედასის მუშაობას მაგრამ ეს ნაკლი დღეს გამოსწორებულია და მასწავლებლები აქტიურად არიან ჩაბმულნი რემედასის მუშაობაში.

წარმოებს წევრთა ინტერნაციონალურად აღზრდა, ამ მიზნით ტარდება მოხსენება-საუბრები. წევრთა შორის საწევრო ანარიცხების აკრება ხდება თავის დროზე და უკლებლივ. უჯრედი საკმაო რაოდენობით ავრცელებს რემედასის ყოველგვარ გამოცემებს; წევრები დიდის ხალსით ეტანებიან ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიურ ორგანოს. ჟურ. „რემედას"-ს რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელ მასებისათვის.

რემედასის ფინანსიური ღონისძიებათა გასაძლიერებლად უჯრედის მიერ განზრახულია ახლო მომავალში მოეწყოს დიდი საღამო წარმოდგენა, რომლის შემოსავალი მთლიანად უნდა მოხმარდეს რემედასს. ამრიგად ჩვენი უჯრედი პირნათლად ემსახურება იმ უდიდეს იდეას, რომელსაც საერთაშორისო მასშტაბით ისახავს რემედასი.

გ. სიხარულიძე.

რ ე მ ე დ ა ს ი ს მ უ შ ა ო ბ ა

(მაღლაკის თემი)

რემედასის ორგანიზაცია ჩვენში ჩამოყალიბდა 1927 წ. პირველად ჩამოყალიბებული იქნა მხოლოდ ერთი უჯრე-

ახლო წარსულში მექსიკაში მოწვეულ იქნა ნაციონალურ-გლეხური ლიგისა და კომუნისტური პარტიის ყრილობა, რომელზედაც წამოყენებული იქმნა თავმჯდომარის კანდიდატურა. სურათზე კანდიდატი.

დი. რომელიც აერთიანებდა 60-მდე წევრს, მაგრამ წევრთა სასწრაფო ზრდამ გამოიწვია სამი უჯრედის დაარსება.

უკანასკნელად, რემედასის კვირეულის ჩატარების დროს კიდევ 150 წევრი შეემატა ორგანიზაციას, რამაც გამოიწვია კიდევ ორი უჯრედის ჩამოყალიბება, ამრიგად ფაქტიურად დღეს-დღეობით არსებობს 5 უჯრედი, რომელშიაც გაერთიანებულია 300 წევრი.

როგორც საერთოდ შემჩნეულია ხოლმე, უჯრედებში მუშაობა მოისუსტებდა. წევრთა ზრდა ხდებოდა განსაკუთრებით გლეხობის ხარჯზე, ამჟამად კი ცალკე უჯრედებში თვეში ერთხელ სისტემატიურად ეწყობა კრება, სადაც კეთდება მოხსენება და საუბრები კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარიატის მდგომარეობისა და უცხოეთის რემედასის სექციების მუშაობის შესახებ.

ყველა უჯრედებში გამოტანილია დადგენილება, რათა რემედასელმა გამოიწერონ რემედასის საქ. ც. კ. ყოველთვიური ორგანო ჟურნალ „რემედასი", რომელიც ჯერ ვერაა სისრულეში მოყვანილი, მაგრამ იმედია ამ დადგენილებას განახორციელებენ ადგილობრივი ამხანაგები. ჟურნალ რემედასი ერთად-ერთი ორგანოა, რომელიც ნათელ სურათს იძლევა უცხოეთის რევოლიუციონური მოძრაობისა და კაპიტალისტურ ქვეყნებში თეთრი ტერორის შესახებ, ჩვენი ვალია გავავრცელოთ ის ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართე მასებში, ამით ჩვენ ხელს შეუწყობთ მშრომელთა ინტერნაციონალურად აღზრდას.

მაღლაკელი ქალი.

რემედასის ბიუროს მუშაობა

(ტფილისის გლეხთა ცენტრალური სასახლე)

გლეხთა სასახლესთან არსებული რემედასის უჯრედი მუშაობას აწარმოებს, როგორც საქართველოს აგრეთვე ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებიდან ჩამოსულ გლეხებს შორის. რემედასის უჯრედის ბიურო თვეში სამ-ოთხჯერ მართავს ლექციებს და ატარებს საუბრებს რემედასის მნიშვნელობაზე გლეხებს შორის იმ მიზნით, რომ მათ საშუალება მიეცეს სოფელში დაბრუნების შემდეგ აწარმოონ სათანადო მუშაობა. ამ გლეხების ინიციატივით ჩამოყალიბებულია როგორც ვიცით რემედასის ორი უჯრედი. გლეხთა სასახლის რემედასის უჯრედი აერთიანებს 65 წევრს. უჯრედის ბიურო თვეში ერთხელ იწვევს წევრთა საერთო კრებას. წლის განმავლობაში საწევრო გადასახადი შემოსულია 48 მან. და 97 კაპ. უნდა აღინიშნოს, რომ გაზ. „ახალი სოფელი"-ს რედაქციის თანამშრომლებს, რომლებიც წევრებათ ირიცხებიან ამ უჯრედში, არ შეაქვთ თავის დროზე საწევრო გადასახადი და გულგრილად ეკიდებიან რემედასის მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყვენ.

რამდენჯერმე იქნა ეს საკითხი დასმული ბიუროს სხდომაზე მაგრამ დღემდის მოუგვარებელი დარჩა. მთელი წლის განმავლობაში 7-ჯერ იქნა გაშვებული კინო სურათი, რომლიდან შემოსულია 138 მან. 55 კაპ. შემოწირულების სახით შემოვიდა 43 მან. რაც გადაგზავნილია რემედასის რაიონულ კომიტეტში აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად ადგ. დარჩა 12 მან. 19 კაპ. რემდასის ბიუროს თაოსნობით გლეხთა სასახლის ხარჯზე მოეწყო სანიმუშო საჩვენებელი რემედასის კუთხე. ამ კუთხის მოწყობაში გლეხთა სასახლის მმართველობამ დახარჯა 70 მანეთი.

მადლობა უნდა გამოეცხადოს სასახლის მმართველობას, რომელიც ხელს უწყობს უჯრედს ყოველგვარ წამოწყებებს. საჭიროა ასეთ მაგალითს სხვა გლეხთა სახლებმაც მიჰბაძონ.

ა. ქავთარაძე.

ჩ ვ ე ნ ი მ უ შ ა ო ბ ა

(ქ. ბათომი)

ლენინის სახელობის ქართულ 7 წლედში ჩამოყალიბდა რემედასის ორგანიზაცია. დღიდან დაარსებისა უჯრედმა გამოჰყო ბიურო 7 კაცის შემადგენლობით, რომელთა

თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული სენსაციური ამბის—სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ფორვერტი"-ს რედაქტორის „მოტაცების" მონაწილე სასამართლოში, სადაც ირჩეოდა ეს საქმე, ამხ. შერლინსკი ხელმეორედ იქნა დაპატარებული კომუნისტური ფურცლების გავრცელებისათვის.

შორის განაწილებული იქნა სამუშაოები. ბიუროს წევრები ენერგიულ და გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ ჩამოუყალიბებელ ფენების რემედასის ორგანიზაციებში ჩასაბმელად.

აღსანიშნავია, რომ ახ. ლ. კ. კ. წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ, როგორც თვით თავიანთ წევრთა, ისე მშრომელ მოსახლეობას შორის ინტერნაციონალურ ერთსულოვნების იდეის გაღვივების საქმეში, რასაც შედეგად მოჰყვა უკანასკნელად რემედასის ორგანიზაციაში 170 წევრის დარაზმვა.

ამ ორგანიზაციაში უმთავრესად ჩაბმულია მუშებისა და გლეხების შვილები. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ აქ გამოდს კედლის გაზეთი, სადაც შუქდება ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხები, რემედასის მუშაობა და სხვა. ამ გაზეთს უშუალოდ ხელმძღვანელობს ახ. ლ. კ. კავშირის ადგილობრივი უჯრედი.

ჩვენ იმედი გვაქვს, რემედასის ორგანიზაცია უფრო ენერგიულ მუშაობას აწარმოებს მომავალში, რათა მკვიდრ ნიადაგზე იქნეს დაყენებული ორგანიზაციის მუშაობა. კომკავშირის ორგანიზაციამ უნდა შესძლოს რემედასის რიგებში მშრომელ ახაგაზრდობის ფართე ფენების დარაზმვა. საჭიროა ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გლეხ-ახალგაზრდობაში მუშაობის გაცხოველებას.

აკაკი გაგნიძე.

ახალი სისტემა ფინანსიურ მუშაობაში

რემედასის ადგილობრივ ორგანიზაციების საზრუნავ საგანს ამ ჟამად წარმოადგენს ანგარიშიანობისა და თანხების გადმოგზავნას ისეთი ფორმების გამომუშავება, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდება სავსებით და უნაკლოდ შეცვლა იმ ფორმებისა და მეთოდებისა, რომლებიც დღემდე არსებობენ და ისეთი პირობების შექნა, რომლებიც უზრუნველყოფს რემედასის ორგანიზაციების ფინასიურ ანგარიშიანობის გამარტივებას.

რემედასის ორგანიზაციების ანგარიშ-წარმოება ისე უნდა მოეწყოს, რომ ნაკლები დროის დახარჯვით და იაფი აპარატით შესაძლებელი გახდეს მისი საბოლოოდ გამარტივება; ამისათვის საჭიროა წინასწარი ნიადაგის მომზადება მოსალოდნელი შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

ამ მიზნით, რემედასის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტსა და ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს შორის იქნა ხელშეკრულება დადებული, რათა უკანასკნელის მიერ უზრუნველყოფილიყვეს რემედასის ყველა ძირითადი ორგანიზაციები (ქალაქად და სოფლად) რემედასის მარკების და საწევრო წიგნაკების მიწოდებით და თანხების რემედასის ცეკაში გადაგზავნით — თავის დროზე.

რემედასის საქართველოს ცეკას დადგენილებით, ზემოთაღნიშნული ახალი ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება რემედასის საქ. ყველა ორგანიზაციებისათვის სავალდებულოა ა-წ. აპრილის პირველ რიცხვიდან.

ძველი სისტემა, ე. ი. ბანკებისა და მეტადრე შემნახველ სალაროების მეშვეობით თანხების ადგილებიდან ცენტრში გადაგზავნისა იმდენად უხერხული და რთული იყო, ერთი რომ შემნახველი სალაროების გამგეობის მხრივ დიდი დაგვიანებით წარმოებდა თანხების გადარიცხვის ოპერაცია და ასეთებზე ორგანოები არავითარ ცნობებს არ ღებულობდენ და რაც უმთავრესია, მათმა ჩვენი ძირითადი ორგანიზაციებისადმი რემედასის მარკებისა და საწევრო წიგნაკების მიწოდებაზე უარი განაცხადეს.

აი, ასეთ პირობებმა აიძულა რემედასის ცეკა, რათა დაედო მას ხელშეკრულება ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატთან.

რით არის ხელსაყრელი რემედასის ორგანიზაციებისათვის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატთან ასეთი ხელშეკრულების დადება?

მით, რომ ფოსტის განყოფილებებს, (არსებობენ რა ყველა ქალაქებში და სოფლებში) შეუძლიათ მიაწოდონ რემედასის ყველა ძირითად ორგანიზაციებს რემედასის მარკები (საწევრო ანარიცხებისა და შემოსასვლელი გადასახადის ასაკრებად) და საწევრო წიგნაკები პირველმოთხოვნისთანავე. და რაც უმთავრესია მათ მიერ იწარმოებს თანხების გადაგზავნა რემედასის ცეკაში სისტემატიურათ ყოველდღე, რითაც ბოლო მოეღება მომავალში თანხების დიდ რაოდენობის ადგილებზე დატოვებას.

ჩვენი პირველი ნაბიჯი გადადგმულია. ჯერჯერობით ამ ახალ სისტემაზე გადაყვანილია მხოლოდ კომიტეტები, ხოლო ახლო მომავალში საქართველოს დარაიონების შემდეგ ამავე სისტემაზე გადაყვანილი იქნებიან აგრეთვე ყველა ჩვენი ძირითადი ორგანიზაციებიც — უჯრედები.

მაშინ როდესაც ყველა ადგილობრივი ქალაქის თუ სოფლის ფოსტის განყოფილებებში გადაგზავნილი იქნება რემედასის მარკები და საწ. წიგნაკები, უჯრედების მდივნებს აღარ დასჭირდებათ კომიტეტში სიარული ასეთების მისაღებად და ხანდახან კიდევაც ცდა, სანამ კომიტეტები ასეთებს მიიღებენ ცენტრიდან.

მომავალში უჯრედის მდივნებს საშუალება მიეცემათ შეიძინონ ადგილობრივი ფოსტის განყოფილებიდან (ნაღდ ანგარშზე) საჭირო მასალები. ეს ღონისძიებანი მაქსიმალურად გაამარტივებს და შეუმსუბუქებს რემედასის უჯრედის მდივნებს მუშაობას.

რემედასის ცეკას მიერ გამომუშავებულია და დამზადებულია საამისო ფულის გადასაგზავნი ფორმები და ბარათები, რომლებიც მოკლე ხანში დაეგზავნება ადგილებს.

დღეს-დღეობით კომიტეტების ახალ სისტემაზე გადასვლით რა-საკვირველია ჩვენ ვხვდებით გაუგებრობებს, როგორიცაა მაგ.: ერთ-ერთი მაზრკომის მდივანის მიერ შევსებული იყო საამისო საფოსტო ბარათი, ხოლო ბარათზე არ იყო აღნიშნული, თუ ვის ეგზავნებოდა თანხა. ან კომიტეტის მდივანი იძენს ფოსტაში საამისო ბარათს, მაშინ როდესაც მას უჯრაში რამოდენიმე ათეული ასეთი ბარათები ჩვენს მიერ გაგზავნილი უწყვია და სხ. ყოველივე ეს უნდა მიეწეროს მუშაკების გულგრილობას, რაც მომავალში იმედი გვაქვს გამოსწორებული იქნება. ოპერაციების სისწორით ჩატარებას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, ის დააჩქარებს თავის დროზე თანხების მიღებას.

ვლ. აბზიანიძე.

როგორ მუშაობენ ზუგდიდის მაზრაში

ამ რამდენიმე ხნის წინად ზუგდიდში ჩატარდა რემედასის ზუგდიდის სამაზრო პლენუმი. ეს პლენუმი აღსანიშვავია იმით, რომ მან ჯამი გაუკეთა რემედასის მუშაობას მაზრაში და დაისახა მომავალი მუშაობის მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია რემედასის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობა, მომხსენებელმა, ამხ. დ. ხურცილავამ გააშუქა რემედასის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობა მესამე კონფერენციიდან მეორე პლენუმამდე ე. ი. 10 თვის განმავლობაში.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა საანგარიშო ხნის განმავლობაში პრეზიდიუმს მოუხდენია ქვემდგომ ორგანიზაციების გამოკვლევა 24 ჯერ და ჩამოუყალიბებია 17 ახალი უჯრედი, რომლის დროს გამოუყენებიათ უმთავრესად ნებაყოფლობითი ინსტრუქტორთა კადრები. დღეს-დღეობით არსებობს 15 სათემო კომიტეტი და 70 უჯრედი, რომლებშიაც გაერთიანებულია 2.000-დე წევრი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთი ორად გაიზარდა რემედასის წევრთა შემადგენლობა უმთავრესად გლეხობის ხარჯზე. რაც შეეხება მოსამსახურეების ჩაბმას რემედასის რიგებში, უნდა აღინიშნოს, რომ ის ძალიან სუსტად არის დაყენებული, რაც უმთავრესად უნდა მიეწეროს პროფკავშირების გულგრილად მოპყრობას რემედასის მუშაობისადმი.

აღმზრდელობითი მუშაობის დარგში წარსულთან შედარებით მთელ რიგ მიღწევებს აქს ადგილი, როგორიცაა მაგალითად ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება ამა თუ იმ კამპანიების ჩატარების შესახებ, რემედასის წევ-

რების ჩაბმა ამ კამპანიებში და სხვ. დღეს რემედასის უმთავრესი ამოცანა გამოიხატება იმაში, რომ მუშაობის კამპანიურ ხასიათის ნაცვლად შემოღებული იქნეს აღმზრდელობითი მუშაობის სისტემატიური წარმოება.

მომავალში საზღვარგარეთელ მოძმე ორგანიზაციებთან ინტერნაციონალურ-ერთსულოვნების განმტკიცებას უნდა მიექცეს უდიდესი მნიშვნელობა, ამავე დროს მჭიდრო კავშირი უნდა იქნეს გაბმული საზღვარგარეთის საშეფო ციხეებთან, რაც დღემდის ძლიერ მოისუსტებდა, უნდა შევაგნებიოთ ყოველ რემედასელს, რომ ჩვენს მიერ აღმოჩენილი ყოველგვარი დახმარება გაამხნევებს, როგორც საპყრობილეში მოქცეულ პოლიტპატიმრებს, ისე მათ უპატრონოდ მიტოვებულ ოჯახის წევრებს.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე რემედასის გამოცემათა გავრცელების საკითხს, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიუხედავად მთელი რიგი მიღებული ღონისძიებებისა, როგორიცაა მაგალითად ბეჭვდითი სიტყვის გავრცელების კვირეულის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავდა უმთავრესად ჟურ. „რემედასის“ გავრცელებას მშრომელთა ფართე მასაში, ეს საქმე მაინც სასურველად ვერ იქნა მოგვარებული და გამოირკვა, რომ რემედასის ქვემდგომ ორგანიზაციებზე დღემდის უდიდესი დავალიანება ირიცხება.

ამის შემდეგ მომხსენებელი ეხება რემედასის საქ. ც. კ. ხელმძღვანელობას და შემდეგს აღნიშნავს: „ცეკას ჯერ კიდევ არ შეუდგენია ორგანიზაციის დებულება. (!!) არ გამოდის სისტემატიურად ჟურ. „რემედას“. ჟურნალი ყოველთვიურად გამოდის მაგრამ დეკემბრის ნომერი იანვრის ბოლოს გამოვიდა, რომელიც გულს უცრუებს ხელის მომწერლებს, ხოლო რაც შეეხება წერილობით კავშირს ასეთებს თავის დროზე ვღებულობთ. ცეკას უნდა მიეთითოს თვითკრიტიკის საფუძველზე დააჩქაროს დებულების დამუშავება და მოაგვაროს ჟურნალ რემედასის თავის დროზე გამოშვება“. (ხაზი ჩვენია. რედაქცია).

ქედელი,

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

რემედასის ყოველ უჯრედში მომუშავეს და ჩვენი ჟურნალის მკითხველებს განცვიფრებაში მოიყვანს ზემო მოყვანილი ამონაწერი. ამხ. ხურცილავა (სამწუხაროდ რემედასის საქ. ცეკას წევრი და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანი) აცხადებს თითქოს რემედასს დღემდის არ ჰქონდეს გამომუშავებული ჩვენი ორგანიზაციის დებულება. ამას აცხადებს ამხ. ხურცილავა საქართველოში რემედასის არსებობის მეშვიდე წლის თავზე.

რედაქციას უადგილოთ მიაჩნია ამ საკითხზე პასუხის გაცემა, ვინაიდან ყოველმა რემედასელმა იცის, რომ არსებობს ჩვენი ორგანიზაციის დებულება, მაგრამ ამხ. ხურცილავა არ უკვირდება ა უ რას ამბობს და სხვა მუშაკებიც შეცდომაში შეჰყავს. როგორც ვიცით რემედასს არ გააჩნია სხვა დებულება გარდა იმისა, რაც მან უკვე კარგა ხანია გადაეგზავნა ადგილებს. ჟურნ. „რემედას“-ის რედაქცია შეეკითხა ამ საკითხის შესახებ რემედასის საქ. ც. კ. ბუჰგალტერიას, რომელმაც ჩვენ მოგვაწოდა შემდეგი ოფიციალური ცნობა:

რემედასის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს ზედნადები № 5-ით, 1927 წ. დეკემბრის 17, გადაეგზავნა — რემედასის დებულების 50 ც. 1929 წ. ეს დებულება სათანადო შესწორებით ცეკას მიერ ხელმეორედ იქნა გამოცემული და ზუგდიდის რემედასის სამაზრკომს გადაეგზავნა კიდევ 50 ცალი. ზედნადები № 196, 1929 წ. 23 მარტის თარიღით. როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაში ხურცილავა ჩამორჩენილა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას.

რედაქცია ურჩევს ამხ. ხურცილავას გადაჰხედოს და შეისწავლოს ის მასალები და წიგნები, რომლებიც ჩვენს მიერ საკმაო რაოდენობით გადაეგზავნა ადგილებს, რაც შეეხება ჟურ. „რემედასის“ დროზე გამოცემას რედაქციის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები, რათა ყოველი თვის 20-ში ადგილებს გადაეგზავნოთ ჟურნალი.

რედაქცია.

ტფილისი

რემედასის საქ. ცეკას გამომცემლობის საწყობიდან ადგილებს შეუძლიათ დაიკვეთონ შემდეგი ახალი გამოცემები:

1. წესდება . . . . ფასი 15 კაპ.
2. რემედასი და კომკავშირი — ლებედევი „ 10 „
3. აჯანყებული მთები — მარკო . . . . „ 10 „
4. 18 მარტი და რემედასი - ტესლენკო „ 10 „
5. რემედასი საბჭოების არჩევნებში — ქოიავა . . . . 10 კაპ.
6. შავი მაყრები (პიესა) — წერეთელი . „ 10 „
7. დახმარება (პიესა) — მამულაიშვილი . „ 10 „

ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს - ის შემდეგი ნომრები მომავალ თვიდან ადგილებს დაეგზავნება მხოლოდ მათი დაკვეთის რაოდენობის მიხედვით. დაკვეთა გამოგზავნილი უნდა იქნეს რედაქციაში არა უგვიანეს ყოველი თვის 15-სა.

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

რემედასის საქ. ორგანიზაციების მიერ 1929 წ. პირველ კვარტალის ხარჯთ-აღრიცხვის შესრულების ცხრილი

№№ რ/რ	ორგანიზაციების დასახელება	გათვალისწ. შემოსავალი 1928 წ. განმავლობ.		შემოვიდა ცეკაში I კვარტალში		% შესრულება.
		მან.	კ.	მან.	კ.	
1.	ტფილისის რემედასის კომიტეტი.	29263	—	10439	83	35,7
2.	ქუთაისის „ „	7300	—	7905	72	108,3
3.	აფხაზეთის „ საოლქო კომ.	9232	—	4889	35	52,9
4.	აჭარისტანის „ „ „	6964	—	3095	36	44,5
5.	ფოთის „ სამაზრო კომ.	3000	—	1638	86	54,6
6.	შორაპნის „ „ „	3000	—	1600	—	53,3
7.	კახეთის „ „ „	3000	—	1500	—	50,0
8.	გორის „ „ „	3006	—	1415	—	47,0
9.	სენაკის „ „ „	2000	—	912	36	45,6
10.	ზუგდიდის „ „ „	1980	—	400	—	20,2
11.	სამხრეთ-ოსეთის „ „ „	550	—	330	33	60,0
12.	ახალ-ქალაქის „ „ „	1000	—	209	—	29,0
13.	რაჭა-ლეჩხუმის „ „ „	708	—	59	—	8,0
13.	ახალციხის „ „ „	2650	—	—	—	—
15.	ოზურგეთის „ „ „	2000	—	—	—	—
16.	ბორჩალოს „ „ „	1000	—	—	—	—
	ჯამი	76663	—	34475	81	45,0

[1]) ამ ცხრილში შეტანილი არაა ახალციხის რემედასის სამაზრო კომიტეტიდან 4 აპრილის მიღებული 700 მანეთი. ვინაიდან ჯაშემოსავლო პირველი კვარტალი უკვე დასრულებული იყო, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ორ-მაზრას ოზურგეთს და ბორჩალოს დღემდე არავითარი თანხები არ გადმოუგზავნიათ.

რემედასის საქართველოს ცეკას
ბუჰგალტერი: **ვლ. აბზიანიძე.**

რემედასის საქ. ცეკას პრეზიდიუმში

ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებით მიმდინარე წლის ივნისიდან საქართველოს რემედასის ყველა ორგანიზაციებში ჩატარებული იქნება რემედასის წევრთა ხელახალი აღრიცხვა.

ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებით რემედასის საქ. ცეკას მორიგი — მესამე პლენუმი მოწვეულ იქნება ქ. ტფილისში მიმდინარე წლის ივნისის 22-ს.

რემედასის საქ. ცეკას სამდივნოს დადგენილებით მიმდინარე წლის აპრილის პირველიდან რემედასის საქ. ყველა კომიტეტები გადაყვანილი იქნა თანხების ინკასაციის ახალ წესებზე ფოსტა-ტელეგრაფის საშუალებით.

რემედასის საქ. ცეკას სამდივნოს განზრახული აქვს რემედასის ყველა უჯრედები გადაიყვანოს თანხების ინკასაციის ახალ წესზე.

ეს საკითხი დასმული იქნება რემედასის საქ. ცეკას მორიგ მესამე პლენუმის დღის წესრიგში.

რემედასის ორგანიზაციებში მიმდინარე გადარჩევის კამპანია საქართველოს ყველა ორგანიზაციებში დამთავრებული უნდა იქნეს მიმდ. წლის 15 მაისამდე.

რემედასის ტფილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა რემედასის საქ. ცეკას წინაშე, რათა რემედასის საკავშირო ცეკადან მოწვეულ იქნეს პოლიტ-ემიგრანტი ზაფხულის პერიოდში ტფილისის ორგანიზაციებში წევრთა ინტერნაციონალურ აღმზრდელობითი მუშაობის გასაღრმავებლად.

რემედასის ს. ც. კ. გამომცემლობა. რედაქტორი: **სარედაქციო კოლეგია.**

ტფილისი, ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტ. პლ. პრ. № 91. მთავლიტი № 548 შეკვ. № 1209 ტირაჟი 5000

ფასი 20 კაპ.

რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის გამომცემლობა

ტფილისი, კომინტერნის ქ. № 5. II-ე სართ. ელსმ. № 17—42

მიიღება ხელის მოწერა

რემედას-ზე

ჟურნალ

ჟურნალ

1929 წლის

განმავლობაში

რემედას

გამოვა

12

ნომერი

ხელის მოწ. პირობები:

1 თვით	. . . .	20 კ.
3 თვით	. . . .	60 „
6 თვით	. . . .	1 მ. 15 „
9 თვით	. . . .	1 „ 70 „
1 წლით	. . . .	2 „ 20 „